საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 21 მაისი, 2014 წელი.

№98 (7479)

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

გულმავიწყთა გულუხვი დაპირებები,



ანუ თქვენ არ იყავით, ნაცნო, რომ გვყვლეფდით? 4

რას ვიზამთ, მადა მართლაც ჭამაში მოდის!

2

დეპუტატებს ხელფასები ეზრდებათ

თხა გავყიდე, თხა ვიყიდე, ბატონო გიგი?

4

ხელისუფლება თავისი თავის წინააღმდეგ მუშაობს



ეკოლოგია, ეკონომიკა და ჯანმრთელობა – „მწვანეების“ პროგრამაში 6

არასაპარლამენტო ოპოზიციის უშნო თავმოყვარეობა, თუ...

3

იოსებ სტალინი ილია ჭავჭავაძის შესახებ

11

თბილისის ბუნდოვანი „პანორამა“

5

ქართული გალობის უკვდავება

9

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ირაკლი ღარიბაშვილს შავი ქამრის და სამურაის ხმლის ტარების უფლება მიენიჭა

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაციის ხელმძღვანელმა კახა ბასილიამ, მსოფლიო კარატეს ფედერაციის გადაწყვეტილებით მესამე დანი, შავი ქამარი და დამადასტურებელი სერტიფიკატი გადასცა.

საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაციის ინფორმაციით, პრემიერი ფედერაციას სტუმრობდა, რომლის ფარგლებში ქართული კარატეს წარმატებებს, სამომავლო გეგმებსა და მიზნებს გაეცნო.

— საქართველოს კარატეს ეროვნულ ფედერაციას კიდევ ერთი გულმხურვალე მხარდამჭერი გამოუჩნდა — პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი. ის ჩვენი დიდი ქომაგია ჯერ კიდევ შსს-ს მინისტრობის დროიდან. დღესაც შსს-ს თანამშრომელი ჩვენი აღზრდილი სპორტსმენები ღირსეულად იცავენ უწყებისა და საქართველოს სახელს მსოფლიო ტატამზე და არაერთი ოქრო-ვერცხლი აქვთ მოპოვებული. საბედნიეროდ, პრემიერ-მინისტრის მხრიდან არ შეწყვეტილა ქართული კარატესა და ჩვენი ყველაზე ეროვნული პროექტის — „მებრძოლი სულის აღორძინება საქართველოში — კარატე ჯანსაღი მომავლის სამსახურში„ მხარდაჭერა, რომელიც მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევით ხორციელდება. უნდა აღინიშნოს, რომ ბატონი ირაკლი მსოფლიოში მეორე პრემიერ-მინისტრია რეჯეფ თაიფ ერდოღანის შემდეგ, რომელსაც ესოდენ დიდი საპატიო წოდება მიანიჭა კარატეს მსოფლიო ფედერაციამ — შავი ქამარი და სამურაის ხმლის - კატანას ტარების უფლება, — განაცხადა კახა ბასილიამ.

მისივე განმარტებით, კარატეს ეროვნული ფედერაცია სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორ ლევან შონიასთან შეთანხმდა, რომ აღნიშნულ რეგიონში კარატე სავალდებულო საგნად შევა სკოლებში.

„ძნელია, ვახო სანაიას გადაცემას მიუკერძოებელი ეწოდოს“

ამის შესახებ ნათქვამია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის განცხადებაში.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ყველასთვის ნათელი გახდა,

რომ ამ პოლიტიკურმა ძალამ რეალურად შეასრულა ერთ-ერთი მთავარი დანაპირები — მედია გაათავისუფლა ხელისუფლების ნებისმიერი ზეწოლისგან.

— დღეს საზოგადოებას არ აქვს ეჭვი და მცირედი კითხვაც, რომ რომელიმე ტელევიზიას ხელისუფლება მართავს ან მისგან რაიმე სახის ზეწოლას განიცდის. მედიის თავისუფლების ხარისხის გაზრდას ადასტურებს საერთაშორისო კვლევები და რეიტინგები. ეს არის ყველაზე დიდი მონაპოვარი დემოკრატიის გზაზე მდგომი ქვეყნისთვის. ამავე დროს, თავისუფალი მედიაგარემო ზრდის ტელევიზიებისა და ჟურნალისტების პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე — მიაწოდონ მაყურებელს მიუკერძოებელი და ობიექტური ინფორმაცია.

იმ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ ფონზე და არანაკლებ მძიმე პოლიტიკური ბრძოლებისა და კოჰაბიტაციის პირობებში, ცხადია, ვერ იქნებოდა მიღწეული ყველა სასურველი შედეგი. თუმცა, აშკარად ჩანს პოზიტიური ტენდენციები და 4-წლიანი ციკლისთვის მთავრობის დანაპირების შესრულება სრულიად რეალისტური და ოპტიმისტურია.

ჩვენ არ გვაქვს პასუხი, რა მოტივაცია ამოძრავებდა ტელეკომპანია „მაესტროს„ და მის ჟურნალისტს, რომ ტენდენციურად წარმოეჩინა რეალობა. თუმცა, იმედს ვიტოვებთ, რომ საზოგადოება თავად განსჯის და შეაფასებს, რას ენდოს და რას — არა, — ნათქვამია განცხადებაში.

◎ ესეც ასე!

რას ვიზამთ, მადა მართლაც ჭამაში მოდის!

დეპუტატებს ხელფასები ეზრდებათ

მომავალ წელს, შესაძლოა, პარლამენტის წევრებისა და აპარატის თანამშრომელთა ხელფასები გაიზარდოს.

რეგლამენტის შესაბამისად, საკანონმდებლო ორგანოში 2016-2018 წლების პარლამენტის ბიუჯეტის საპროგნოზო პარამეტრები შევიდა, რომლის მიხედვითაც უწყების 2015 წლის ბიუჯეტი 5 პროცენტით იზრდება.

როგორც for.ge-ს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მანანა კობახიძემ განუცხადა, ეს ხელფასების ზრდის შესაძლებლობას იძლევა, მაგრამ თუ რამდენით გაიზრდება აპარატის თანამშრომლებისა და დეპუტატების ხელფასები, ამ დროისთვის უცნობია.

„მომავალი წლის ბიუჯეტის ზრდა 5 პროცენტზეა გათვლილი. ანუ, ბიუჯეტი 2 მლნ 600 ათასი ლარით იზრდება. ამ თანხიდან 2 მლნ 300 ათასი განისაზღვრა სახელფასო ფონდში, 300 ათასი კი სხვა ხარჯებისთვის. საუბარია არა მხოლოდ დეპუტატთა ხელფასების ზრდაზე, არამედ აპარატზეც. ამ დროისთვის, უცნობია რამდენით გაიზრდება ხელფასები, მაგრამ არ გვაქვს ვალდებულება, რომ ამ ეტაზე ზრდის რაოდენობა დავაკონკრეტოთ“, —აღნიშნავს კობახიძე.

ვიცე-სპიკერის მოსაზრებით, შესაძლოა, მომავალ წელს, პარლამენტში შტატებიც გაიზარდოს.

„ამ თანხაში მოვიაზრებთ შტატების გაზრდის შესაძლებლობასაც. ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი გვთხოვს, რომ მოწვეულ სპეციალისტს უფლებამოსილება გაუგრძელდეს. მსგავს დღეშია სხვა კომიტეტებიც. საკმარისი შტატები არ არის და კომიტეტები მუდმივად მოწვეულ სპეციალისტზე არიან დამოკიდებულნი“, — აღნიშნავს დეპუტატი.

კობახიძის განცხადებით, პარლამენტი იმ პარამეტრებში ჩაჯდება, რაც ნ-პროცენტიანი ზრდით იქნება შესაძლებელი.

„აღმასრულებელი ხელისუფლებისა და პარლამენტის წევრების ხელფასებს თუ შევადარებთ, ნახავთ, რომ სხვაობა არის. ეს სწორი მიდგომა არ არის, ისევე როგორც ის, რომ პარლამენტის აპარატის თანამშრომლებზე მეტი ხელფასები სამინისტროებში დასაქმებულ ადამიანებს აქვთ. არსებული მდგომარეობა გარკვეულ ცვლილებას საჭიროებს“, — აღნიშნავს კობახიძე.

რაც შეეხება მომავალი წლების პროგნოზს, საბიუჯეტო პარამეტრების მიხედვით, პარლამენტის ბიუჯეტის 2015 წლის გეგმა 54695 ათასი ლარი ექნება, 2016 წლისა — 57 430 400 ლარით განისაზღვრება, 2017 წლის 60 — მლნ 302 ათასი ლარით, ხოლო 2018 წელი — 63 317 100 ლარით.

აღნიშნული პარამეტრები პარლამენტში გასულ კვირას შევიდა და მასზე კანონმდებლები თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ იმსჯელებენ. შეგახსენებთ, რომ 15 ივნისის არჩევნებთან დაკავშირებით, უწყებამ ერთთვიანი ტაიმ-აუტი აიღო.

თეონა მანაგაძე

ლალი მოროშკინა ყოფილა ჩვენი მხსნელი და ეგ არის!

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის მრჩეველი ლალი მოროშკინა დიმიტრი დარბაისელის თანამდებობიდან გადაყენებას მოითხოვს . როგორც ლალი მოროშკინამ ია მეტრეველთან და იური ვაზაგაშვილთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა, დიმიტრი დარბაისელი უშუალოდ „ნაციონალური მოძრაობის„ ინტერესების გამტარებელია. მისივე თქმით, სწორედ ამას უკავშირდება ვანო მერაბიშვილის ციხიდან სავარაუდო გაყვანა და რამდენიმე კვირის წინათ, მე-17 დაწესებულებაში დარბაისელის მხრიდან ჯარის შეყვანის მცდელობა, რითაც ბუნტის დაწყების ჩახშობა სისხლით სურდა და რისი საშუალებაც მინისტრმა არ მისცა.

ლალი მოროშკინას თქმით, ის მზად არის, მხოლოდ სამი თვით ჩაიბაროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის თანამდებობა, რათა სიტუაცია დალაგდეს. მოროშკინას თქმით, შემდეგ ის თანამდებობას დატოვებს და სუფთა წარსულის მქონე პირს გადააბარებს.

დარიალის ხეობაში დაკარგული 7 ადამიანის ვინაობა დადგენილია

დარიალის ხეობაში დაკარგული 7 ადამიანის ვინაობა დადგენილია, მათ შორის არიან უკრაინის, თურქეთის და საქართველოს მოქალაქეები, — ამის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ განაცხადა. მინისტრის თქმით, მათი პოვნა ჯერ ვერ მოხერხდა.

ამასთან, მდინარე თერგი კალაპოტს დაუბრუნდა, რაც სპეციალისტების თქმით, ძებნით სამუშაოებს გააადვილებს.

მეწყრის ზონაში უამინდობის გამო წუხელ ძებნის ოპერაცია შეჩერებული იყო. მაშველებმა და ტექნიკამ მუშაობა დილით 06:00 საათზე განაახლეს.

დამეწყრილ ზონაში 20 ერთეული ტექნიკაა შეყვანილი და გაწმენდითი სამუშაოები ხორციელდება.

დღეს ხეობაში დამატებითი სამაშველო ჯგუფები უნდა შეიყვანონ.

თბილისში ევროპის ქვეყნების არმიების მთავარ სერჟანტთა კონფერენცია გაიხსნა

საქართველო ევროპის ქვეყნების არმიების მთავარ სერჟანტთა მე-8 ყოველწლიურ კონფერენციას მასპინძლობს. ფორუმი „სერჟანტთა როლი და პასუხისმგებლობები უსაფრთხოების მომავალ გამოწვევებში“ საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარმა სერჟანტმა ალუდა კოპალიანმა და საქართველოში აშშ-ის ელჩის მოადგილემ ბრიჯიტ ბრინკმა გახსნეს.

კონფერენცია სამდღიანია და ის აშშ-ის არმიის ევროპული სარდლობისა და საქართველოს შეიარაღებული ძალების ორგანიზებით იმართება. ევროპის 34 ქვეყნის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებს ალუდა კოპალიანი და აშშ-ის არმიის ევროპული სარდლობის მთავარი სერჟანტი დევიდ დევენპორტი მასპინძლობენ.

არასაპარლამენტო ოპოზიციის უშნო თავმოყვარეობა, თუ...



„მოყვარეს პირში უძრახე, მტერს — ზურგს უკანაო“, ეს შეგონება ბავშვობიდან ვიცით, მაგრამ მისი განხორციელება მაინც ჭირს. არა, სხვის კრიტიკაზე ადვილი რა არის (ჩვენი პრესა განა ასეთი წერილებით არ არის გაჯერებული?), მაგრამ აქ სხვა პრობლემაა, თანაც, ორი. უპირველესად ძალიან ჭირს კარგად შეფუთულ, ლამაზ-ლამაზ სახელებს — თავისუფლებას, დემოკრატიას, დამოუკიდებლობას, ეროვნულობას და სხვა მსგავსს ამოფარებული, ანუ ცხვრის ტყავში გახვეული, შიგადაშიგ სიმართლის მთქმელი (ხალხის დასაბნევად!) ორგანიზაციების და პარტიების ჭეშმარიტი სულის ამოცნობა. ზოგჯერ წლები გადის, სანამ გამოაშკარავდება, თუ ვინ ვინ არის სინამდვილეში. სამწუხაროდ, მამა აბრამის ბატკნის ნაცვლად, როგორც წესი, მგლები გვრჩება ხელში და, ამიტომ, ბუნებრივია, როცა სხვებსაც, ანუ პატიოსანი სახელის მქონე ადამიანებს და ორგანიზაციებს ეჭვის თვალით ვუწყებთ ყურებას.

მეორე პრობლემა, რომელიც მტერ-მოყვარის კრიტიკის ზემოთ ნახსენები პრინციპის განხორციელებას უშლის ხელს, არის ის, რომ არც ისე ადვილია მოყვარეს, ანუ ვისზედაც გული შეგტკივა, პირში უთხრა სათქმელი, თანაც, საჯაროდ. ასეთ სიმართლეს ხომ ზოგი როგორ იგებს, და ზოგიც — როგორ, უმეტესობა ყველაფერს მტკივნეულად აღიქვამს და, რაც მთავარია, გულით ნათქვამს სხვა სარჩულს უდებს, სხვა ახსნას აძლევს. ამის მიუხედავად, თუ გვინდა რაიმე არსებითს მივაღწიოთ, **უნდა ვაკრიტიკოთ არა ნაცები და ქოცები მხოლოდ, არამედ აუცილებელია იმათი დროული(!) კრიტიკაც, ვინც მათ შემცვლელებად გვეგულება და ვისაც იმედის თვალით შევყურებთ** (ვინც მხოლოდ ქოცებს ლანძღავს, მათ ამის მორალური უფლება არა აქვთ; მხოლოდ ქოცების მაგინებლებს სავსებით სწორად მიმართა ჟურნალისტმა ნინო სამხარაძემ: „აქამდე სად იყავი, შე ძუკნა“?).

უშნო თავმოყვარეობას დავარქმევთ, ამბიციურობას თუ სხვა სახელს (რაც ჯერ ვერ გადამიწყვეტია!), შედეგისთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს. ფაქტია, არასაპარლამენტო ოპოზიციამ ამჯერადაც ვერ შეძლო გაერთიანება. არასაპარლამენტო ოპოზიციაში ყურადღებას სამიოდე პარტია (გაერთიანება) თუ იმსახურებს: ნინო ბურჯანაძის კოალიცია, დავით თარხან-მოურავის, ირმა ინაშვილის და სოსო მანჯავიძის პატრიოტთა ალიანსი და კახა კუკავას პარტია. ბუნებრივია, სამი ოპოზიციური ძალიდან ერთ-ერთს შედარებით მეტი პოპულარობა ექნება; მეორე, შესაძლოა, პოლიტიკურად უფრო მომზადებული, ბრძოლაში (საარჩევნო ბრძოლის ჩათვლით) გამოწრთობილი წევრებით იყოს დაკომპლექტებული და, მესამე კიდევ, უფრო მეტი პატიოსნებით და თავდადებით გამოირჩეოდეს; თავ-თავისი ელექტორატი, ცხადია, ყველას ეყოლება. სამივე პარტიამ (გაერთიანებამ) კარგად უწყის, რომ მათ დასამარცხებელი ჰყავთ ორი უძლიერესი სამთავრობო ძალა — „ქართული ოცნება“ და ნაცმოძრაობა.

მართალია, „ქართულმა ოცნებამ“ არნახულად სწრაფად გაუცრუა ხალხს იმედები, მაგრამ ამომრჩეველთა დიდი ნაწილი მაინც მის იმედზეა, მაინც მისგან მოელის სასიკეთო ძვრებს მომავალში. რაც შეეხება ნაცმოძრაობას, რომელსაც, მიუხედავად 9-წლიანი დანაშაულებრივი მმართველობისა, არავინ არ უპირებს გასამართლება-დასჯას და, რომელსაც, თითქმის, ძველებურად აქვს შენარჩუნებული სახელისუფლებო ბერკეტები ყველა დონეზე, თავისი ამომრჩევლების დიდი ნაწილი არ დაუკარგავს (განსაკუთრებით, რეგიონებში) და, საერთო ჯამში, სავარაუდოდ, ასე 16-18 % (შესაძლოა, ოდნავ მეტიც) მას უჭერს მხარს (თბილისში, ეს მაჩვენებელი, სხვადასხვა გამოკვლევებით, საგრძნობლად ნაკლებია).

არასაპარლამენტო ოპოზიციას კარგად მოეხსენება, რომ ქოც-ნაცების ხელშია ადმინისტრაციული რესურსები, დიდძალი ფულადი სახსრები, ტელესივრცე, საარჩევნო კომისიის შემადგენლობა და გაბერილი (მილიონამდე ამომრჩევლით!) საარჩევნო სიები, რომელსაც როგორ გამოიყენებენ არავინ იცის — ერთმანეთში ძმურად, კოჰაბიტაციურად გაყოფაც არ არის გამორიცხული! მათი დამარცხება მხოლოდ და მხოლოდ(!) გაერთიანებული ძალითაა შესაძლებელი. **სამწუხაროდ, „ძალა ერთობაშია“ ოპოზიციისთვის ოდენ ლაპიდარული გამოთქმაა, თეორიული ცოდნაა.** ერთობას, პარტიის ლიდერების პირადული ეგო, პირველობის სურვილი უშლის ხელს, რასაც პოლიტიკური უმწიფრობა და სიბეცე შეიძლება ვუწოდოთ. ცალ-ცალკე, შეუთანხმებლად კანდიდატურების წამოყენებით ოპოზიცია არათუ ვერ გაიმარჯვებს, მას მეორე ადგილზე გასვლაც კი გაუჭირდება. აბა, რა გამართლება აქვს იმ ფაქტს, რომ „ქართული ოცნების“ და ნაცმოძრაობის კანდიდატებს (თბილისის მერობის პოსტზე) დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა და ირმა ინაშვილი ცალ-ცალკე(!) დაუპირისპირდნენ. ამომრჩევლის ხმების გადანაწილება რაც შეიძლება მეტ კანდიდატს შორის იმ შემთხვევაშია გამართლებული, როცა მხოლოდ ერთი, სახელისუფლებო კანდიდატი არის დასამარცხებელი, და ოპოზიცია ცდილობს, მაქსიმალურად წაართვას მას ხმები, გაუძნელოს 50 %-იანი ბარიერის გადალახვა, რათა გაიმართოს მეორე ტური. ჩვენ შემთხვევაში კი, როცა ორი სახელისუფლებო კანდიდატია დასამარცხებელი, ამ დაქუცმაცებით, მეორე ტური შეიძლება შედგეს, მაგრამ პირველ-მეორე ადგილებზე ისევ სახელისუფლებო კანდიდატებს თუ ვიხილავთ, როგორც ეს საპრეზიდენტო არჩევნებზე მოხდა, დიდად არ უნდა გაგვიკვირდეს.

ძნელი დასაჯერებელია ოპოზიცია ვერ ხვდებოდეს იმას, რომ ქოცები და, განსაკუთრებით, ნაცები, სიხარულისგან ხელებს იფშვნეტენ, როცა ისინი ოპოზიციური ძალების დაქსაქსვას უყურებენ. ამით ხომ ნაცებს მეორე ადგილზე გასვლის შანსი უჩნდებათ, და მათი პროგრამა-მაქსიმუმი ამ ეტაპზე(!) სწორედაც ეს არის! ამის მიუხვედრელობა შეუძლებელია! ზემოთ მოხსენიებულ ვერც ერთ ოპოზიციონერზე ვერ ვიტყვი, რომ სხვაზე ნაკლები ჭკუა აქვს, პირიქით, მიმაჩნია, რომ ისინი სხვებზე მაღლა დგანან მთელი თავით. მაგრამ, როგორც იტყვიან, რად გინდა, „გამაადგათ რო“?!

როგორც ჩანს, პარტიული ლიდერების ჭკუას პირადული ამპარტავნობა თუ პატივმოყვარეობა სჯობნის — მე რატომ უნდა შევუერთდე სხვას, სხვა შემომიერთდეს მე, მე უფრო მაგარი ვარ, უფრო ღირსეული და სხვა მსგავსი რამ. ეს უშნო თავმოყვარეობა გვღუპავდა ყოველთვის და იგია საღი აზროვნების უნარს რომ გვაკარგვინებს დღესაც.

დღეს, როცა ოპოზიციას ჰაერივით სჭირდება გაერთიანება, ძველი ამბების, წყენინების გახსენება და არგაერთიანების ასახსნელად სხვადასხვა მიზეზ-საბაბის მოშველიება, ყოვლად გაუმართლებელია. ყველა ქალაქის მერობის და საკრებულო-გამგებლობის კანდიდატებს რომ შევეშვათ, ერთადერთ(!) კანდიდატზე, მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით უმნიშვნელოვანეს, თბილისის მერობის კანდიდატზე შეთანხმება რა გახდა, ნუთუ ასეთი ძნელია?! **თბილისის მერობის კანდიდატად უკვე დასახელებული იყო დიმიტრი ლორთქიფანიძე — ჭეშმარიტად ღირსეული ქრისტიანი კაცი, გამორჩეული თავისი პატიოსნებით, განვლილი პოლიტიკური ცხოვრებით — უკომპრომისო უფლებადამცველობით, საკუთარი ოჯახით და ოჯახიშვილობით. რა აუცილებლობას წარმოადგენდა კახა კუკავასაც წამოეყენებინა საკუთარი თავი და პატრიოტთა ალიანსს — ირმა ინაშვილი?! ეს კანდიდატებიც შემიძლია, შევამკო არანაკლებ დადებითი ეპითეტებით, და ისეთებითაც, რომლებიც ლორთქიფანიძეს შესაძლოა, არც გააჩნდეს, მაგრამ როგორ დავიჯერო, რომ ისინი ვერ ხვდებიან სულ უბრალო რამეს, რომ ასე გათითოკაცებულნი ვერაფერს გახდებიან, რომ თბილისის ოპოზიციონერი ამომრჩეველი დაიბნევა და მათი ხმები ამ კანდიდატებზე გადანაწილდება.** მოხდება ისე, როგორც ბევრ არაკშია გადმოცემული — ერთმანეთთან ჭიდილის შედეგად მეორე ადგილზე ნაცი დეპუტატი გაძვრება და მერე საკუთარი წინდაუხედაობის თუ სიჯიუტის ერთმანეთზე ან ამომრჩეველზე გადაბრალება — რატომ ჩვენ კანდიდატს არ დაუჭირეთ მხარი, არათუ თავის მართლებად არ ივარგებს, უბრალოდ, უკაცრავად და, უსინდისობა იქნება!

სულერთია ვისზე შეჩერდება არჩევანი: ლორთქიფანიძეზე, კუკავაზე თუ ინაშვილზე, მაგრამ **ერთი რამ უდავოდ მიმაჩნია — ერთზე, მხოლოდ ერთ კანდიდატზე უნდა მოხდეს შეჯერება** სანამ გვიან არ არის და, მეორე ტურის შემთხვევაში, ყველამ აქტიურად უნდა დაუჭიროს მხარი ამ კანდიდატს. ეს აუცილებელია, სხვანაირად, გამარჯვების შანსი არცერთს არა აქვს!

ზემოთ, პარტიათა ლიდერების პირადული თვისება — ამბიცია მივიჩნიე ოპოზიციის ვერგაერთიანების მთავარ მიზეზად და, დიდი ალბათობით, ასეც უნდა იყოს, მაგრამ ნაც-ქოცების ხელისუფლების მიერ დასავლეთის დირექტივების მიხედვით გატარებული პოლიტიკის შემხედვარეს, არ შეიძლება კიდევ ერთი მიზეზი არ გაგახსენდეს. არც კი მინდა დავუშვა, მაგრამ **ოპოზიციური პარტიების ასეთი, ყოვლად გაუაზრებელი დაპირისპირება ერთმანეთთან, ძალაუნებურად გვაფიქრებინებს, რომ ეს პარტიებიც სხვადასხვა ძალის მითითებით მოქმედებენ და ამიტომაც არ მიდიან პრაგმატულ ურთიერთშეთანხმებამდე.** თბილისზე და, საერთოდ, საქართველოზე ფიქრი მათ გვერდზე რჩებათ! და თუ ვცდები (ღმერთმა ქნას!), მაშინ ჯერ კიდევ არაა გვიანი — გაერთიანდნენ და თავიანთ ერთგულ ამომრჩევლებს გაუფანტონ ეჭვები.

იაკობ ლეჟავა,
15 მაისი, 2014

◎ ალიან-ჩალიანი

სატელევიზიო რეკლამა დისკრიმინაციულად ნაწილდება

არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიების ნაწილის აზრით, სატელევიზიო რეკლამა დისკრიმინაციულად ნაწილდება.

აღნიშნულთან დაკავშირებით ოპოზიციური პარტიება განცხადებას ავრცელებენ:

„საქართველოს კონსტიტუციის მე-14 და 26-ე მუხლებით საქართველოში გამოცხადებულია ყველა მოქალაქისა და ყველა პოლიტიკური გაერთიანების თანასწორობა და იკრძალება რაიმე სახის დისკრიმინაციური მიდგომის გამოვლინება. მიუხედავად ასეთი ფუძემდებლური იმპერატივისა, კონსტიტუციურ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ კანონდება პოლიტიკურ პარტიათა შორის დისკრიმინაციული და არათანაბარი სამართლებრივი მდგომარეობა, კერძოდ, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, 12-12 მლნ ლარის უფასო საარჩევნო რეკლამით მხოლოდ 3 სუბიექტი — „ქართული ოცნება“, „ნაციონალური მოძრაობა“ და „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ — სარგებლობს, რაც უკვე წარმოადგენს დისკრიმინაციას დანარჩენი პოლიტიკური სუბიექტების მიმართ. გარდა ამისა, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულია საარჩევნო რეკლამის ხარჯების დასაფარად დამატებითი ფინანსების გამოყოფა იმ პარტიებისთვის, რომლებსაც ბოლო საერთო არჩევნების შემდეგ წარმოეშვათ დაფინანსების უფლება. მიუხედავად იმისა, რომ, ამ პირობას აკმაყოფილებს 7 კვალიფიციური და 4 არაკვალიფიციური სუბიექტი, რომლებსაც უკანასკნელი არჩევნების შედეგებზე დაყრდნობით გამოეყოთ საბაზო დაფინანსების ნახევარი (ერთჯერადი დაფინანსების სახით), კანონის ამ ნორმის საფუძველზე ფინანსდება მხოლოდ „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“ თითოეული — 600 000 ლარის ოდენობით.

საარჩევნო სუბიექტებს შორის მედიათანაბრობის საკითხში დისკრიმინაციულ მიდგომებზეა საუბარი 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ ეუთოს დასკვნაში. ეუთოს რეკომენდაციით, არსებული საკანონმდებლო სტრუქტურა, „კვალიფიციური“ კანდიდატებისთვის უფასო საეთერო დროის გადანაწილებაზე უნდა გადაიხედოს. დამატებით, იმისათვის რომ ყველა კანდიდატს თავიანთი მესიჯების თავისუფლად გადაცემის შესაძლებლობა ქონდეს და შეიქმნას თანასწორუფლებიანი გარემო, უზრუნველყოფილი უნდა იყოს „არაკვალიფიციური“ კანდიდატებისთვის მინიმალური საეთერო დროის დაწესება.

განცხადებას ხელს აწერენ „ერთიანობის დარბაზი“, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, „თავისუფლება — ზვიად გამსახურდიას გზა“, „ლეიბორისტული პარტია“, „პატრიოტთა ალიანსი“, „რეფორმატორები“, „სახალხო პარტია“, „ქართული პარტია“, „ქრისტიან-დემოკრატიული პარტია“, „ჩვენი საქართველო“ და „ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა“.

ვეტერანებისთვის მიკროავტობუსებში შეღავათები ამოქმედდება

დღეიდან დედაქალაქში მოძრავ მიკროავტობუსებში ომის მონაწილეები და მათთან გათანაბრებული პირებისთვის შეღავათები ამოქმედდება. როგორც „ინტერპრესნიუსს“ თბილისის მერიიდან აცნობეს, ისინი სამარშრუტო ტაქსებში მგზავრობის ღირებულების ნახევარს გადაიხდიან, მეორე ნახევარს კი დედაქალაქის მთავრობა აანაზღაურებს.

— ამჟამად თბილისში 17 ათასამდე ომის მონაწილე და მათთან გათანაბრებული პირია რეგისტრირებული. დღეიდან თითოეულ მათგანს ახალი სამგზავრო ბარათის აღება ვაჟა-ფშაველას 99 ნომერში მდებარე სპეციალურ სერვის-ცენტრში შეეძლება. აღნიშნული შეღავათით სარგებლობისთვის უკვე არსებული ბარათები ომის ვეტერანებმა და მათთან გათანაბრებულმა პირებმა მიმდინარე წლის 20 ივლისამდე ახალი ბარათებით უნდა შეცვალონ, — აცხადებენ მერიაში.



გულმავიწყთა გულუხვი დაპირებები,

ანუ თქვენ არ იყავით, ნაცნო, რომ გვყვლეფდით?

ოპოზიციაში **გადასულმა „ნაცმოძრაობამ“ საწვავის გაიაფების გზას მიაგნო. ისინი მოსახლეობას საწვავსა და გაზზე აქციზის გადასახადის გაუქმებას ჰპირდებიან, რაც მათი მტკიცებით, 25 თეთრით გააიაფებს საწვავს, ხოლო გაზს — 8 თეთრით. დაპირება მოიცავს, ასევე, საშემოსავლო გადასახადის 5 პროცენტით შემცირებას, რაც „ნაციონალური მოძრაობის“ გეგმით, ბიზნესის გაფართოებისა და მეტი ადამიანის დასაქმების საშუალებას მისცემს ბიზნესმენებს. გულუხვი დაპირებები საზოგადოებრივ ტრანსპორტზე შეღავათებსაც ითვალისწინებს. ყველა მოქალაქე, ვინც თბილისში საზოგადოებრივი ტრანსპორტით ისარგებლებს, 50-ის ნაცვლად, 20 თეთრს გადაიხდის. საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა უფასო იქნება ყველა სტუდენტისათვის, სკოლის მოსწავლისთვის, პენსიონერისა და სოციალურად დაუცველისთვის.**

ეს დაპირებები მით უფრო გასაოცარია, რომ ნაციონალების მთელი ცხრაწლიანი მმართველობა სწორედ ტარიფების მატებას უკავშირდებოდა და საზოგადოებრივ ტრანსპორტზეც პერმანენტული ფასის ზრდა სწორედ სოციალურად შეჭირვებული მოქალაქეების ჯიბეს აწვებოდა.

„ქართული ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატი დავით ნარმანია ოპონენტებს ურჩევს, საკუთარ დაპირებებს გადახედონ, რადგან ვერც მერია და ვერც საკრებულო გადასახადებს და ტარიფებს ვერ შეამცირებს. სამაგიეროდ, ნარმანიას დაპირებებიც შთამბეჭდავია — 800 მილიონი ლარი სოციალური სფეროსთვის და საზოგადოების განსჯად ქცეული — 1 მილიონი ხე...

რამდენად ადეკვატურ დაპირებებს გასცემენ ჩვენი მერობის კანდიდატები და როგორ შეძლებენ ისინი თბილისის „ამუშავებას“?! რა უშლიდათ ხელს ხელისუფლებაში თავის დროზე მოკალათებულ ნაციონალებს, ტარიფების ზრდით კი არ ყოფილიყვნენ გატაცებულნი, არამედ მათ შემცირებაზე ეზრუნათ?

ექსპერტი **გია ხუხაშვილი** წარმოუდგენელ ცინიზმად აფასებს ნაციონალების მიერ საწვავისა და გაზის გაიაფებაზე საუბარს. მისი აზრით, სამწუხაროდ, ამორალური პრინციპები დამკვიდრდა ქართულ პოლიტიკაში. ჯერ კიდევ ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა გვპირდებოდა 5 თეთრს ელექტროენერგიაზე, 10 თეთრს — გაზზე. რაც შეეხებათ ნაციონალებს, ისინი დამატებითი ხმის მისაღებად ამომრჩევლებს ისევე ექცევიან, როგორც ბრბოს.

„არ მინდა, დეტალებზე ვისაუბრო, მაგრამ მაქვს აბსოლუტურად ზუსტი ინფორმაცია, ნაციონალების შავ სალაროში ზუსტად ამ ბიზნესებიდან, ყოველი ლიტრიდან რა თანხა მიედინებოდა, როგორ ყალიბდებოდა ამ ბიზნესებიდან მათი პარტიული სალარო. დღევანდელ სიტუაციაში, როდესაც კარტელები აღარ არსებობს, ნაციონალები ასე ციინიკურად გვესაუბრებიან. რაც შეეხება საწვავის გაიაფებას, ეს ბაზარი ლიბერალიზებულია. მაინტერესებს, ეს ცნობილი ლიბერალები რომ არიან, როგორ აპირებენ ადმინისტრაციული ჩარევით ამის გაკეთებას?! გაზთან დაკავშირებით კიდევ შეიძლება, რაიმე შეღავათზე თეორიულად ვილაპარაკოთ, რადგან არსებობს მარეგულირებელი კომისია, მაგრამ საწვავთან დაკავშირებით ამას ვერ ვიტყვით“, — აცხადებს გია ხუხაშვილი for.ge-სთან საუბარში.

იგი საშემოსავლო გადასახადის 5%-ით შემცირებასაც ეხმაურება და განმარტავს, რომ ნებისმიერი ტიპის გადასახადის შემცირება ეკონომიკურ სისტემებს გარკვეულ სტიმულს აძლევს, მაგრამ საინტერესოა, რა უშლიდათ ნაციონალებს ხელს ამის გაკეთებაში? არათუ ამას აკეთებდნენ, ცხრაპირ ტყავს აძრობდნენ ბიზნესმენებს, არსებულ გადასახადებს არ აკმარებდნენ და სახლიდან მიატანინებდნენ ფულს.

„ყველა პოლიტიკური ძალა მეტ-ნაკლებად პრიორიტეტების მიხედვით ალაგებს თავის დაპირებებს. რამდენად რეალურია მათი დაპირება, ვერ გეტყვით. ამ ქვეყანაში კი არა, არც ერთ ქვეყანაში არ მინახავს ასი პროცენტით შესრულებული დაპირებები. სამწუხაროდ, პოლიტიკოსები ასეთი ადამიანები არიან. თუმცა, დავით ნარმანია წესიერი ადამიანია, ციფრებში შეიძლება რაღაც აერია, რაც მას არ ეკადრება. რა თქმა უნდა, მილიონი ხე არარეალურია. როგორც ჩანს, მან ფიგურალურად ახსენა ციფრი მილიონი და სინამდვილეში, გამწვანებას გულისხმობდა. შეუძლებელია თბილისში მილიონი ხის დარგვა ოთხი წლის განმავლობაში, მაგრამ „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაშია და მეტ-ნაკლებად ამ დაპირებების შესრულებაც შესაძლებელია. 800 მილიონი ლარის დაპირება კი სერიოზულია და იმედი მაქვს, შესრულდება“, — აღნიშნა გია ხუხაშვილმა.

საპარლამენტო უმცირესობის წევრი **გიორგი თევდორაძე** for.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ ცხრა წლის განმავლობაში „ნაცმოძრაობა“ რასაც დაჰპირებია ამომრჩეველს, შეუსრულებია კიდეც. საუბარია იმ თემებზე, რაც ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებს უკავშირდებოდა.

როცა შევახსენეთ მილიონი სამუშაო ადგილის დაპირება, გიორგი თევდორაძემ აღნიშნა, რომ ეს მათი ოპონენტებისგან გამოსროლილი ფრთიანი ლოზუნგია. თუმცა, თევდორაძე იხსენებს, რომ მათ დროს ეკონომიკური მდგომარეობა და დასაქმების სისტემები სწრაფი ტემპით იზრდებოდა, ახლა კი მცირდება.

„ეს ყველაფერი ობიექტური დასკვნის გაკეთების წინაპირობაა — დაპირებების შესრულება შეუძლია „ნაცმოძრაობას“, „ქართული ოცნებისგან“ განსხვავებით. „ნაცმოძრაობის“ გუნდმა მნიშვნელოვანი განახლება, ტრანსფორმაცია განიცადა, ჩვენ განვაახლეთ ბორდი და სტაფი. არიან ახალი ადამიანები, ახლებური ხედვით. მათი ახლებული გაანალიზების შედეგია ეს ტარიფები. სწორედ ამაში მდგომარეობს ჩვენი სიძლიერე და ეს არის მმართველობაში ჩვენი მობრუნების მთავარი საფუძველი. არა მგონია, იმის გამო ვინმემ პასუხი მოგთხოვოს, რატომ ხელისუფლებაში ყოფნისას არ გავაიაფეთ ტარიფები? — ეს იმიტომ, რომ მაშინ ვერ მივაგენით ამ გზას. ასეთი მარტივი პასუხი მექნება. დაპირებებთან დაკავშირებით, პირველ რიგში, ქართველ საზოგადოებას კითხვები უნდა გაუჩნდეს „ქართულ ოცნებასთან“ მიმართებით“, — გვითხრა გიორგი თევდორაძემ და დავით ნარმანიას მუშაობაც უარყოფითად შეაფასა.

საპარლამენტო უმცირესობის წევრი დავით დარჩიაშვილი for.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ დაპირებები დაფუძნებულია ბაზრის თავისუფლების ხარისხის გაზრდისა და ლიბერალიზაციის პრინციპებზე. ამის ერთ-ერთი თავი სწორედ საშემოსავლო გადასახადის შემცირებაა. გარდა ამისა, ისინი დიდი ხანია, ითხოვენ ფინანსური ამნისტიის კანონს, რათა ბიზნესს მაქსიმალური სტიმული მიეცეს ახალი ინვესტიციებისა და სამუშაო ადგილების გასაჩენად.

„კომუნალური გადასახადების შესაძლო შემცირებისას მთავარი პრინციპია თბილისელების ეკოლოგიური გათბობის სისტემების დამონტაჟება. სწორედ ამან უნდა შეამციროს გაზის ხარჯი. მზის ენერგიის ნაწილობრივი გამოყენებით და ასეთი ჰიბრიდული სისტემების გავრცელებით შეიძლება შემცირდეს ტარიფი. თორემ ისე არ მოხდება, რომ უცებ გაზის ფასმა დაიკლოს. ეს მსოფლიო საბაზრო კონიუნქტურასა და საერთაშორისო ხელშეკრულებაზეა დამოკიდებული“, — აღნიშნა დავით დარჩიაშვილმა.

მან ისიც გაიხსენა, რომ „ოცნება“ ხალხს 250-ლარიან პენსიებს ჰპირდებოდა, თუმცა, 150 ლარზე მეტად ვერ გაზარდეს პენსიები, რაც რეალურად ნაციონალების დაპირება იყო და ბიუჯეტშიც სწორედ ამისთვის სამყოფი თანხები არსებობდა.

„დავით ნარმანიას დაპირება სოციალური სფეროსთვის 800 მილიონი ლარის გამოყოფის თაობაზე არა მგონია, ეკონომიკურ-მეცნიერულ გათვლებზე იყოს დაფუძნებული. ამ დაპირებას ან შეასრულებენ, ან არა, თუმცა პარალელურად ძველებური ტემპით ეკონომიკა თუ არ ამოქმედდა, მეორედ ამ დანაპირებს ვერ შეასრულებენ“.

მანანა ნოზაძე

◎ აი, დემოკრატია!!!

თხა გავყიდე, თხა ვიყიდე, ბატონო გიგი?

ნებისმიერი **დონის არჩევნების წინა პერიოდში საზოგადოებრივი ვნებათაღელვა პიკს აღწევს და მაშინ კონკურენტი ძალების წარმომადგენლები ხშირად საკუთარი პოლიტიკური წარსულის სრულიად საპირისპირო, უმეტესად ამომრჩეველთა გულის მოგებაზე გათვლილი განცხადებებით გამოდიან.**

ამ მხრივ, ცხადია, გამონაკლისი არც მოახლოებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებია, რასაც ქვეყნის სამომავლო განვითარებისთვის, შესაძლოა, ეპოქალური მნიშვნელობა ჰქონდეს. აქედან გამომდინარე, გასაკვირი სულაც არ არის, რომ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიისა თუ ალიანსის წარმომადგენლები უკიდურესად პოპულისტურ განცხადებებს აკეთებენ, მაგალითად ისეთებს, როგორიც ცოტა ხნის წინათ თბილისის აწ გადაყენებულმა მერმა გიგი უგულავამ გააკეთა. მან, კერძოდ, ამომრჩევლებს აუწყა, რომ ერთიან ნაციონალურ მოძრაობას ნავთობსა და გაზზე სააქციზო გადასახადის გაუქმება აქვს ჩაფიქრებული, რაც, მისი თქმით, საწვავს 25 თეთრით, გაზს კი 8 თეთრით გააიაფებდა.

ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, იბადება სავსებით ლოგიკური კითხვა: **თუ ნავთობსა და გაზზე აქციზის გადასახადის გაუქმება მატერიალურად უაღრესად გაჭირვებული მოსახლეობისთვის ამხელა შეღავათის მომცემია ისე, რომ სახელმწიფო თუ ქალაქის ბიუჯეტიდან არაერთი სოციალური პროგრამის (მათ შორის, ჯანდაცვის, პენსიების, სხვადასხვა შეღავათების, დახმარებებისა და ა. შ.) დაფინანსებას პრობლემები არ შეექმნება, მაშ, მმართველობის თითქმის ათწლეულის მანძილზე რატომ არ უფიქრიათ ამის გაკეთება და რითაა ქვეყნის ახლანდელი ეკონომიკური მდგომარეობა წინა წლების მდგომარეობასთან ამდენად გამორჩეულად წინწასული? ხოლო თუ აქციზის გადასახადი, ვთქვათ, ბენზინსა და გაზს გარკვეულად გაიაფებს, მაგრამ სხვა სოციალურ პროგრამებს საგრძნობლად შეაფარხებს, განა მაშინ რა, თხა გავყიდე, თხა ვიყიდე არ გამოვა?**

ყველამ ხომ კარგად ვიცით, რომ ქვეყნის, მათ შორის, დედაქალაქის ბიუჯეტი სხვადასხვა სახეობის, კერძოდ, აქციზის გადასახადითაც ივსება, ამდენად რაღაც ნაწილის დაკლებას, ავტომატურად, გარკვეული ხარჯის შეკვეცა მოჰყვება. ამდენად, ასე ჰაიჰარად, დაუთვლელად და გაუანგარიშებლად აქციზის გადასახადის ხელის ერთი აქნევით გაუქმების პირობა სხვა არაფერია, თუ არა დაუკვირვებელ ამომრჩეველზე გათვლილი პიარსვლა, რომელიც, დარწმუნებული ვართ, ნაციონალური მოძრაობის გამარჯვების შემთხვევაშიც კი შეუსრულებელი დარჩება.

თუმცა, როგორც ერთმა გონიერმა კაცმა თქვა, მტყუანს ტყუილის კარამდე უნდა მივყვეო, რედაქციამ აქციზის გადასახადის ოდენობის შესახებ შარშანდელი მონაცემების მოპოვება გადაწყვიტა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში. ამასთან დაკავშირებით, უწყების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში გვიპასუხეს, რომ ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციის მისაღებად საჭიროა ოფიციალური წერილობითი მიმართვა, რომელზეც პასუხს ათი სამუშაო დღის განმავლობაში მივიღებთ.

კაცმა რომ თქვას, კანონით ეს ვადა მართლაც ათი სამუშაო დღითაა განსაზღვრული, მაგრამ, ნუთუ რამდენიმე ციფრის მიღებას, რომელიც არანაირად არ არის რაიმე განსაკუთრებული, ამოდენა ბიუროკრატია და ათდღიანი ვადა სჭირდება? მით უმეტეს მაშინ, როცა საჯარო ინფორმაციით გაზეთის რედაქცია ინტერესდება, რომელიც მიმდინარე მოვლენებს ოპერატიულად აშუქებს?!

ამასთან დაკავშირებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ მრავალ სახელმწიფო უწყებაში (სხვათა შორის, არაერთ კერძო კომპანიაშიც!) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია ინფორმაციის დაბლოკვაა, მართებულია, რაშიც კიდევ ერთხელ დავრწმუნდით.

ოთარ ტურაგელიძე.

P. S. ოფიციალურ მიმართვას შემოსავლების სამსახურს რედაქცია მაინც გაუგზავნის და ამ მონაცემებსაც, ცხადია, მოგაწვდით, მკითხველო.

ო. ტ.

◎ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲑᲣᲜᲓᲝᲕᲐᲜᲘ „ᲞᲐᲜᲝᲠᲐᲛᲐ“

„ᲞᲐᲜᲝᲠᲐᲛᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ“ შესახებ ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები ვრცელდება. ზოგადად კი პროექტი გაჩერებულია და დედაქალაქის მერად დავით ნარმანიას მოვლინებას ელოდება. მისი განხორციელებაც ამის შემდეგ გადაწყდება და ვადაც განისაზღვრება.

თანაინვესტირების ფონდი „პანორამა თბილისის“ პროექტიდან ბიძინა ივანიშვილის გასვლის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას არ ადასტურებს. **„პანორამა თბილისი“ არის ფონდის პროექტი, ხოლო ბიძინა ივანიშვილი ამ პროექტის ერთ-ერთი დამფინანსებელი“,** — აცხადებენ ფონდში.

რამდენიმე დღის წინათ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმად ბიძინა ივანიშვილმა პროექტ „პანორამა თბილისის“ დაფინანსება გადაიფიქრა. როგორც ცნობილია, მერიაში პროექტის ერთი განხილვა უკვე გაიმართა, მაგრამ „პანორამა“ დედაქალაქის მთავრობიდან წინააღმდეგობას წააწყდა.

ორი კვირის წინათ, მერიამ თანაინვესტირების ფონდს მთაწმინდის რაიონში, კოჯრის გზატკეცილის მიმდებარედ არსებული ნაკვეთები არ გადასცა. მერიაში განაცხადეს, რომ არ იყო დასაბუთებული პროექტ „პანორამა თბილისის“ მიზანშეწონილობა, ამიტომ თბილისის ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების საკითხთა კომისიამ გადაწყვიტა, ფონდს უარი ეთქვას.

როგორც მერიის განცხადებიდან ირკვევა, განმცხადებლის მიერ, წარმოდგენილი მასალებითა და დოკუმენტაციით საერთოდ არ იყო დასაბუთებული წარდგენილ მასშტაბურ პროექტზე განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების გაცემის მიზანშეწონილობა.

თბილისის მერიამ თანაინვესტორების ფონდს „პანორამა - თბილისისთვის“ ჩუღურეთის რაიონი შესთავაზა და საკუთარი შენიშვნებით უკან დაუბრუნა.

„პანორამა-თბილისი“ ოთხ მრავალფუნქციურ კომპლექსს — სოლოლაკის მაღლობს, სოლოლაკის ბაღებს, თავისუფლების მოედანს და ერეკლე მეორის მოედანს აერთიანებს. პროექტის წინასწარი ჯამური ბიუჯეტი ნახევარ მილიარდ დოლარს აჭარბებს, ხოლო მისი განხორციელება 2015 წელს დაიწყება. პროექტის პირველი საჯარო განხილვა 7 აპრილს გაიმართა.

თანაინვესტირების ფონდის ხელმძღვანელის გიორგი ბაჩიაშვილის თქმით, აქამდე მხოლოდ სოლოლაკის ბაღების და მაღლობის განვითარების პროექტი წარმოადგინეს, თუმცა, მუშაობენ სხვა პროექტებზეც. ბაჩიაშვილის განცხადებით, პროექტზე მუშაობა გაგრძელდება მერიის არქიტექტურის სამსახურის აზრის გათვალისწინებით, რათა პროექტი მისაღები იყოს ქალაქისთვის.

თანაინვესტირების ფონდი პროექტ „პანორამა თბილისს“ გათვალისწინებული შენიშვნებით მერიას დაახლოებით 2 თვეში წარუდგენს. „მას შემდეგ, რაც პროექტს ხელახლა წარვადგენთ, უკვე მერიამ უნდა გადაწყვიტოს, მოაწყობს თუ არა პროექტის მეორე განხილვას და როდის“, — განაცხადა ბაჩიაშვილმა.

რაც შეეხება პროექტის მიმდინარეობას, როგორც თანაინვესტირების ფონდის ხელმძღვანელი აცხადებს, ამ ეტაპზე არქიტექტურული კომპანიებისა და დიზაინების შერჩევა მიმდინარეობს.

ასე რომ, საზოგადოებისთვის წარდგენილი მეტად ორიგინალური პროექტი, რომლის ღირებულება ნახევარ მილიარდ დოლარს შეადგენს, დაკიდული ბაღების მსგავსად ჰაერშია გამოკიდებული, თუმცა, ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გასტანს. თვითმმართველობის არჩევნებში „ქართული ოცნების“ კანდიდატის გამარჯვების შემდეგ, ყველაფერი ძველებური გრაფიკით გაგრძელდება. თბილისის მერობის კანდიდატი დავით ნარმანია „პანორამას“ კეთილი თვალით უყურებს.

„ნებისმიერი ქალაქის მერი ინატრებდა ნახევარმილიარდიან ინვესტიციას ქალაქში“, — ასე გამოეხმაურა თბილისის მერობის კანდიდატი დავით ნარმანია „პანორამა თბილისის“ პროექტს, — ეს არ არის ჩემი პროექტი, იგი საინვესტიციო პროექტია, რომელსაც გვთავაზობს ინვესტორი და საინვესტიციო ჯგუფი. ჩემთვის, როგორც ქალაქის მერისთვის, მნიშვნელოვანი იქნება ის, რომ ნახევარმილიარდდოლარიანი ინვესტიცია შემოვა დედაქალაქში და დასაქმდებიან ადამიანები როგორც მშენებლობის პროცესში, ასევე, ამ პროექტის ექსპლუატაციის პერიოდში, ბიუჯეტში გადახდილი იქნება შესაბამისი გადასახადები“.

ᲒᲔᲥᲐ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ

◎ „ᲓᲐᲩᲐᲒᲠᲣᲚᲘ“ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘ

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲓᲐ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ?

ᲫᲕᲔᲚᲘᲡ გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისთვის აუცილებელი პირობაა ფინანსური ბაზრების განვითარება. განვითარებული ფინანსური ბაზრები ქვეყანაში საერთაშორისო კაპიტალის მოზიდვის, ინვესტიციების ზრდის და ადგილობრივი ფინანსური რესურსის ეფექტიანი გადანაწილების წინაპირობაა. საქართველოში ფინანსური ბაზარი ჯერ კიდევ განვითარების სტადიაშია. ბიზნესისთვის ფინანსური რესურსის მოზიდვის ძირითადი წყარო კომერციული ბანკებიდან აღებული სესხია, ხოლო საქციო კაპიტალით დაფინანსების წყარო შედარებით გამოუყენებელია. ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება მთავრობის მიერ გამოცხადებულ ქვეყნის განვითარების სტრატეგიაშია ასახული და პრიორიტეტული მიმართულებაა.

ᲤᲐᲡᲘᲐᲜᲘ ᲥᲐᲦᲐᲚᲓᲔᲑᲘᲡ ᲑᲐᲖᲐᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

რა მდგომარეობაა დღეს საქართველოში ფასიანი ქაღალდების მიმართულებით? ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება საქართველოში გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო. საქართველოს საფონდო ბირჟა და ცენტრალური დეპოზიტარი საკანონმდებლო ბაზასთან ერთად 1999 წელს საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დახმარებით შეიქმნა. მასზე გარიგებების შემცირება განსაკუთრებით სწრაფი ტემპით 2007 წლიდან შეიმჩნევა, უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში გარიგებების რაოდენობა საშუალოდ 28 პროცენტით მცირდებოდა, 2013 წელი კი ყველაზე დაბალი მაჩვენებლით დასრულდა. მეორადი ვაჭრობის მოცულობა 2008 წლის 70 მილიონი დოლარიდან 10 მილიონ დოლარამდე შემცირდა, ლიცენზირებული საინვესტიციო ფირმების და რეგისტრატორების რაოდენობა კი განახევრდა. ამას ორი მიზეზი აქვს: ერთი მხრივ, ეს იყო გლობალური ფინანსური კრიზისის შედეგი, რომელმაც მსოფლიო მასშტაბით გამოიწვია ფასიანი ქაღალდების ბაზრის აქტიურობის შემცირება, ხოლო, მეორე მხრივ, 2007-დან 2011 წლების პერიოდში განხორციელებული ცვლილებებისა საქართველოს კანონში ფასიანი ქაღალდების შესახებ. შემუშავების დღიდან, კანონი 14-ჯერ შეიცვალა. უკანასკნელი ცვლილებების მიხედვით, დაშვებული გახდა ფასიანი ქაღალდებით ბირჟის გარეთ და რეგისტრატორების მეშვეობით ვაჭრობა, შედეგად, ვაჭრობის დიდი ნაწილი ბირჟის გარეთ გავიდა. 2013 წლის მდგომარეობით, გარიგებების 94 პროცენტი ბირჟის გარეთ, რეგისტრატორების მეშვეობით ხდებოდა.

არსებულ კანონმდებლობაში ძირითადი პრობლემაა გამჭვირვალობის ნაკლებობა. ინფორმაცია ფასიანი ქაღალდების ემიტენტი კომპანიების ფინანსური მაჩვენებლების შესახებ ან არ მოიპოვება, ან არასრულია. განსაკუთრებით პრობლემატური საკითხია ფასის გამჭვირვალობა. ფრაგმენტირებული ვაჭრობის პირობებში ინვესტორისთვის სირთულეა ფასის შესახებ ინფორმაციის მოძიება და შედარება, რის შედეგადაც ვაჭრობის პროცესში არ არსებობს კონკურენტუნარიანი და თანაბარი პირობები. არსებულ პირობებში დაბალია ნდობა ინვესტორთა მხრიდან, რაც, თავის მხრივ, ამცირებს მოთხოვნას ფასიან ქაღალდებზე, ამცირებს ფასს და გარიგებების რაოდენობას.

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში, საქართველოს დაეკისრება, რომ მომავალი 5-7 წლის განმავლობაში ევროკავშირის დირექტივებს შეუსაბამოს კანონი ფასიანი ქაღალდების შესახებ და მოიჯნავე კანონები. 14 დირექტივის ძირითადი მოთხოვნები სწორედ ვაჭრობამდე და ვაჭრობის შემდეგ გარიგებებისა და ფასის გამჭვირვალობის ზრდას, ემიტენტების ფინანსურ ანგარიშგებასა და ინფორმაციის ღიაობას, ინვესტორთა თანაბარ პირობებში მოქცევას უზრუნველყოფს.

ᲜᲘᲜᲝ ᲔᲕᲒᲔᲜᲘᲫᲔ

◎ ᲠᲘᲗ ᲕᲘᲙᲕᲔᲒᲔᲑᲘᲗ?

ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲢᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘ!

ᲒᲛᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲛᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲓᲐᲩᲥᲐᲠᲓᲔᲑᲐ

„ᲒᲔᲜᲛᲝᲓᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ცოცხალი ორგანიზმების შესახებ კანონი“, შესაძლოა, აგვისტოდან ამოქმედდეს. მანამდე კი მოსახლეობის უმრავლესობამ ისიც არ იცის, რა საკვებს იყენებს. რადგანაც ქვეყანაში სოციალური ფონი მძიმეა, ხალხი იაფ პროდუქტს ეტანება. მათი უმრავლესობა იმპორტირებული გმო პროდუქტია. მომხმარებელი ფასს აქცევს ყურადღებას და საკვებს ბრმად ყიდულობს.

გარემოს დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის განცხადებით, პარლამენტმა პირველი მოსმენით პროექტის პრინციპები მიიღო, რაც გარემოში გენმოდიფიცირებული ორგანიზმის გამოყენებას კრძალავს. რაც შეეხება პროდუქციის სავალდებულო მარკირებას, გია გაჩეჩილაძის თქმით, კანონის ამოქმედების შემთხვევაში საქართველოში 2 სახელმწიფო ლაბორატორია უკვე არსებობს, თუმცა, აკრედიტაციას კერძო ლაბორატორიებიც მიიღებენ.

სახელმწიფო ლაბორატორიებს მაკონტროლებელი ფუნქცია ექნებათ და სავაჭრო ქსელში შემთხვევით ან მიზანმიმართულად არამარკირებული გენმოდიფიცირებული პროდუქციის მოხვედრას გააკონტროლებენ.

იმის მიუხედავად, რომ მოსახლეობის უმეტესობას საკვების ხარისხი ძალიან აწუხებს და აპროტესტებენ კიდეც, საკუთარი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად თითქმის არაფერს აკეთებენ. უნდა ითქვას, რომ დახლებიდან გენმოდიფიცირებული პროდუქცია უფრო კარგად იყიდება, ვიდრე ჯანსაღი საკვები პროდუქტი.

„საკვები პროდუქტის შეძენისას მარკირებას ყურადღებას არ ვაქცევ. ასე „ბრმად ვყიდულობ“ და რას ვჭამ, ღმერთმა იცის. ეს, გარკვეულწილად, ჩემი დაუდევრობის ბრალიც არის, მაგრამ ასეც რომ არ იყოს, არა მგონია, ყურადღების გამოჩენა ამ მხრივ, რამე შედეგს იძლეოდეს. ვფიქრობ, არაფერს შეცვლის ჩემი დამოკიდებულება, რადგან მარკირება ხშირ შემთხვევაში არასწორია ხოლმე.

მაგალითად, რამდენიმე თვის წინათ აღმოაჩინეს, რომ რძის პროდუქტებში მცენარეული ცხიმი იყო გამოყენებული, რძის ცხიმის შემადგენლობა კი 1%-ს შეადგენდა. საჭიროა, ბაზარი, მაღაზიები სისტემატურად კონტროლდებოდეს“, — ამბობს თბილისელი ოთარ ფრიდონაშვილი.

ასე ფიქრობს მომხმარებელთა უმეტესობა და ამიტომაც დიდი ინტერესით ელოდება კანონის ამოქმედებას. მათი სურვილია, რომ იგი ძალაში მალე შევიდეს, რათა მომხმარებელმა თავი შედარებით დაცულად იგრძნოს.

კანონპროექტი ძირითად ამოცანებს განსაზღვრავს და გენმოდიფიცირებული ორგანიზმების რეგულირების ძირითად პრინციპებს ადგენს. კანონპროექტის მოქმედების სფერო ვრცელდება მხოლოდ ცოცხალ გენმოდიფიცირებულ ორგანიზმებზე და ის არ მოიცავს გენმოდიფიცირებულ პროდუქტებს და იმ სამკურნალო საშუალებებს, რომლებიც შეიძლება თავად წარმოადგენდნენ ან შეიცავდნენ გენმოდიფიცირებულ ორგანიზმებსა და პროდუქტებს. კანონპროექტი მიჯნავს გენმოდიფიცირებული პროდუქტის ცნებას ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმის ცნებისგან.

იქმნება ბიოუსაფრთხოების ერთიანი სახელმწიფო სისტემა. კანონპროექტი ძირითადად აწესრიგებს გენმოდიფიცირებულ ორგანიზმებთან დაკავშირებულ შემდეგ საკითხებს: ჩაკეტილ სისტემაში გამოყენებას, გარემოში ინტროდუქციას, საბაზრო ქსელში განთავსებას და ტრანსპორტირებას და ტრანსსასაზღვრო გადაზიდვას. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო საფრთხის შეფასების პრინციპის საფუძველზე დაადგენს იმ ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების რეესტრს, რომელთა საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანა, მათი საბაზრო ქსელში განთავსების ან გადამუშავების მიზნით, უნდა იქნას დაშვებული.

კანონპროექტი, ასევე, აწესრიგებს ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების სფეროში სახელმწიფო კონტროლის განხორციელებასთან და ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენების შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ᲒᲔᲥᲐ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ

ხელისუფლება თავისი თავის წინააღმდეგ მუშაობს

ეკოლოგია, ეკონომიკა და ჯანმრთელობა – „მწვანეების“ პროგრამაში

ნომრის სტუმარია „მწვანეების“ ლიდერი, საქართველოს პარლამენტის დეპუტატი, თბილისის მერობის კანდიდატი გიორგი გაჩეჩილაძე

— ბატონო გიორგი, თქვენ დეპუტატის ამპლუაში, როგორც ჩანს, ვერ შეძელით დასახული მიზნის მიღწევა და ამომრჩეველთა წინაშე თავის ღირსეულად წარმოჩენა. თბილისის მერობისთვის ბრძოლა ამიტომ გადაწყვიტეთ?

— როგორც იცით, „მწვანეებმა“ უმრავლესობა თებერვლის დასაწყისში დავტოვეთ. პარლამენტში აბსოლუტური იგნორირება გაუკეთეს ჩვენი დარგის სპეციალისტებს, არადა, თუ რამე გაკეთებულა ამ სფეროში, კანონმდებლობიდან დაწყებული, ყველაფერში ჩვენი შრომაა ჩადებული. კონსტიტუციის 37-ე მუხლი ეკოლოგიის შესახებ ჩვენი ჩაწერილია. როცა „ქართულ ოცნებაში“ შევედით, გვქონდა ილუზია, რომ ერთ გუნდად შევიკვრებოდით, გამოიყენებდნენ ჩვენს პროფესიონალიზმსა და პოლიტიკურ გამოცდილებას, მაგრამ ასე არ მოხდა. ერთ მაგალითს გეტყვით, პარლამენტში არსებობს ევროპარლამენტთან ურთიერთობის საერთაშორისო მუდმივმოქმედი კომისია, რომელიც სერიოზულ გავლენას ახდენს ევროკავშირზე. „მწვანეები“ ვართ ერთადერთი პარტია, რომელსაც ევროპარლამენტში ჰყავს თავისი ფრაქცია და ხმალამოღებული იცავს „ქართულ ოცნებას“, როცა მას ნაციონალების ლობისტი სახალხო პარტია უტევს. მუდმივმოქმედ დელეგაციაში ჩვენ არ ჩაგვსვეს. ვთხოვე უმრავლესობას, აეხსნა ეს ფაქტი, მაგრამ პასუხი ვერავინ გამცა.

— თქვენი აზრით, მიზეზი რა არის?

— მე თუ მკითხავთ, ზოგადად ამ ხელისუფლებაში პროფესიონალიზმის პრობლემაა. ესაა და ეს!

ამიტომ გადაწვყვიტე, დამოუკიდებლად ვიყოთ და ვაკეთოთ კონკრეტული საქმე. პარლამენტში ტყუილა ჯდომას და იქიდან ყვირილს, ეს სჯობს, თბილისის მერობა კი ნამდვილად კონკრეტული საქმეა.

— თუკი დამარცხდებით, კვლავ დეპუტატობას დაუბრუნდებით?

— რა თქმა უნდა.

თბილისი კატასტროფულ მდგომარეობამდე მიიყვანეს. ამ ქალაქის მმართველების ცნობიერებით, მთავარია ფული და არა ადამიანი, მისი ჯანმრთელობა და ეკოლოგიური მდგომარეობა. 2009-2011 წლების აუდიტის დასკვნის მიხედვით, 3 წლის განმავლობაში გაცემულია 18 ათასი ხის მოჭრის ნებართვა. თქვენ წარმოიდგინეთ, ეს რას ნიშნავს?! ოღონდ ფული გადაიხადოს და ადამიანს შეუძლია, ტყე დაწვას, გაანადგუროს წითელ წიგნში შეტანილი ცხოველი თუ ფრინველი... ყველა სკვერსა თუ ბაღში, გამწვანებულ ზოლში ან პატრულის შენობა ჩადგეს, ან გამგეობისა. ეს ყველაფერი ძალიან მძიმედ აისახება თბილისელების ჯანმრთელობაზე.

— პროექტი „პანორამა-თბილისი“ მოგწონთ?

— არ ვიცნობ ამ პროექტს. მთელი გეგმა მხოლოდ რამდენიმე წუთიანი კლიპია. ჩემი აზრით, ნახევარი მილიარდის გადაყრა, არამართებული მგონია.

— სჭირდება თუ არა მთაწმინდას გამწვანება?

— ყველაფერს სჭირდება ექსპერტული შესწავლა, არ ვიცი დეტალები, ხომ გეუბნებით, პროექტი არ მინახავს.

— ბატონო გიორგი, უნდა გკითხოთ აზრი ყბადაღებულ მაღალ პრემიებზე, რომელსაც ჩინოვნიკები იღებენ...

— მართლაც, გასაოცარია ამხელა პრემიებისა და ხელფასების ამბავი... ასეთი ფანტასტიკური პრემიები რისთვის არის საჭირო, არ ვიცი. სხვათა შორის, დეპუტატები პრემიებს არ ვიღებთ. ადრე იყო, მაგრამ ახლა მოსპეს, თუმცა, მთავრობაში რატომ დატოვეს, მიკვირს. მართალი გითხრათ, მრჩება შთაბეჭდილება, რომ დღევანდელი ხელისუფლება თავისი თავის წინააღმდეგ მუშაობს. ასე დიდხანს ვერ გასტანს.

— თქვენ, ალბათ, კიდევ ბევრი საინტერესო ფაქტი იცით, ხომ არ გაუმხელდით ჩვენს მკითხველს?

— რა თქმა უნდა, ვიცი, მაგრამ ბევრ რამეს ვერ ვამბობ. ფაქტების გარეშე ლაპარაკი არ მიყვარს. აყვირდებიან არასამთავრობოები და მერე იღვიძებს ხელისუფლება, ამას თავიდან უნდა რეაგირება და არა ბოლოს. არ არის დალაგებული პოლიტიკური სპექტრი, არადა, როცა ვიკრიბებოდით ივანიშვილთან ჯერ კიდევ გამარჯვებამდე, ამაზე ვსაუბრობდით...

— როგორც ამბობენ, ივანიშვილი პროცესებში ისევ ერევა...

— მგონი, რომ არა. ბატონი ბიძინა ჭკვიანი კაცია, ხოლო ამ ვითარებას ეს ნამდვილად არ ეტყობა, ამიტომ არ მგონია, რომ ის მართავდეს პოლიტიკურ სპექტრს.

— „მწვანეთა“ პარტიას NDI-იმ საკმაოდ მაღალი რეიტინგი მისცა. კვლევის შედეგად თბილისის მერობის კანდიდატებს შორის თქვენ მე-2 ადგილზე ხართ.

— მე ეს შედეგი მაკმაყოფილებს, თუმცა, ძალიან ბევრი შეაშფოთა. რაღაც აბსურდული კომენტარებიც აკეთეს...

— ის, რომ მხარს „უცნობს“ — ანუ მომღერალ გია გაჩეჩილაძეს უჭერენ და ხალხს თქვენ მასში შეეშალეთ?

— ეს ნაციონალებისგან წამოვიდა. თუმცა, ხალხმა ძალიან კარგად იცის, ვის უჭერს მხარს...

— თუნდაც ასე იყოს და ხალხის დიდი მხარდაჭერა გქონდეთ, გაქვთ თუ არა გამარჯვების შანსი?

— შანსი არის. როგორც იცით, ნარმანიას 38 პროცენტი უჭერს მხარს, თუ კვლევებს დავეყრდნობით. მეორე ტური გარდაუვალია. თუკი ასე მოხდება, აუცილებლად მე გავიმარჯვებ!

— არ გიფიქრიათ რომელიმე სხვა ოპოზიციურ ფრთასთან გაერთიანებაზე?

— არ მიფიქრია. ჩვენ გვაქვს საკმარისი რეიტინგი. ნაციონალების დროსაც კი ხალხის მხარდაჭერა გვქონდა, თუმცა, პარტიას რეგისტრაციაში არ ატარებდნენ საარჩევნოდ. როცა 2010 წელს ადგილობრივ არჩევნებზე ჩუღურეთში დამოუკიდებელ კანდიდატად ვიყარე კენჭი, 10 პროცენტზე ნაკლები ვერ დამიწერეს, ვერ გაბედეს; 10 პროცენტი ბიულეტენებისა გააუქმეს, ხოლო რამდენი გააყალბეს, ვინ იცის. ამიტომ ჩვენთვის მოულოდნელი სულაც არ ყოფილა მე-2 ადგილი, სხვა პარტიებისთვის კი შოკი იყო!

— რომ არ იყოთ მერობის კანდიდატი, ვის დაუჭერდით მხარს?

— ძნელი კითხვაა. ამაზე არც მიფიქრია. ერთადერთი, რაც შემიძლია გითხრათ, ისაა, რომ ნაციონალებთან არ ვითანამშრომლებ და მეორე — ბურჯანაძის პარტიასთან. ბურჯანაძეს რომ არ ვენდობოდე, ბევრი მიზეზი მაქვს. პირველია, მისი საგარეო ცნობიერება და მეორეც, ძალიან გამაღიზიანა მისმა განცხადებებმა ანტიდისკრიმინაციულ კანონთან დაკავშირებით. ის პოლიტიკური პიარის თემად აქცია, მაგრამ დაავიწყდა 2004 წლის კანონი მაუწყებლობის შესახებ, რომელიც სწორედ მისი პარლამენტის თავმჯდომარეობის დროს მიიღეს. იქ პირდაპირ წერია, რომ აკრძალულია სექსუალური უმცირესობების დისკრიმინაცია. ანუ ამ ჯგუფს ხელფეხი გაუხსნეს პროპაგანდისკენ. ასეთი კანონის მიმღები ახლა პოლიტიკურ განცხადებებს რომ აკეთებ, გაჩუმდი მაინც!

— თქვენ არ მიეცით ხმა ამ კანონს?!

— არა, არ მივეცი, თუმცა, დარბაზში ვიყავი. ბარათი გამოღებული მქონდა, თითქოს არ ვიყავი...

— რატომ არ მიეცით ხმა?

— იმიტომ, რომ საზოგადოების განწყობა იყო მწვავე.

— პირადად თქვენთვის რა წერია იქ ისეთი, რაც მიუღებელია?

— სულაც არ იყო საჭირო ამდაგვარი რაღაცები. ამის აუცილებლობა არ იყო. ანტიდისკრიმინაციული კანონები გაბნეულია საქართველოს სხვადასხვა კანონში და ამის ისე გაკეთება შეიძლებოდა, საზოგადოების აღშფოთება არ გამოეწვია. პატრიარქმაც მოგვიწოდა, გადავდოთო და რა ჟინიანობა იყო, ვერ გავიგე.

— ბატონო გიორგი, თქვენს საარჩევნო პროგრამასაც შევეხოთ. რას პპირდებით ამომრჩეველს?

— ჩვენი პრიორიტეტი არის ადამიანი. „მწვანეების“ იდეოლოგიის ძირითადი ღერძი არის ზრუნვა ბუნებაზე, და შესაბამისად, ადამიანზე. ეკოლოგია უნდა გადაებას ეკონომიკას. საკმაოდ სერიოზული გუნდი გვყავს, პროფესიონალური ნიშნით გვყავს შერჩეული წევრები. არიან წარმატებული იურისტები, ეკონომისტები, ეკოლოგიები, დემოგრაფები...

— გამწვანების საოცრად ორიგინალური გეგმა გქონიათ?

— ორიგინალური, მარტივი, შემოსავლიანი. არც ერთი თეთრი არ დაიხარჯება ბიუჯეტიდან, პირიქით, აქეთ შემოვა თანხა. საქართველოში ათასობით წყვილი იწერს ჯვარს, ხდება ნათლობა. ყოველი ასეთი შემთხვევისას თბილისის მერიის მიერ გამოყოფილ სპეციალურ ტერიტორიაზე დაირგვება ხეები. წყვილები სიმბოლურ თანხას გადაიხდიან და გამწვანების სამსახურის თანამშრომლები მათი სახელობის ნერგს დარგავენ. 10-15 წლის შემდეგ შვილებს ანახებენ „სიცოცხლის ხეს“, რაც სასიამოვნო პროცესი იქნება. ამ იდეაზე რამდენიმე წლის წინათ შევუთანხდით საპატრიარქოს, მაშინ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეც აღფრთოვანდა, მაგრამ შემდეგ არ განხორციელდა. მიწა დაეინანათ.

მეორე მნიშვნელოვანი პროექტია საფუარის ქარხნის აშენება. გამოკვლევები ცხადყოფენ, რომ ის საფუარი, რომელიც აქ გამოიყენება და თურქულია, ადამიანის ჯანმრთელობას ვნებს. არადა, ჩვენი რაციონის 40 პროცენტს პური შეადგენს. ქარხნის აშენებას დიდი ინვესტიცია არ დასჭირდება. კეთილი ინებონ და პურის ქარხნის მეპატრონეებმა შექმნან ფონდი და იზრუნონ ამ პრობლემაზე.

პოლიეთილენის ბოთლებზეც საინტერესო იდეა გვაქვს. ისევე როგორც ევროპის რამდენიმე ქვეყანაში, დაიდგმება ავტომატური აპარატები. ჩააგდებ ბოთლს, მიიღებ 2-3 თეთრს, შეიძლება თანხა ნაგვის გადასახადს მოაკლდეს. ამაზე შევთანხდებით. ანუ თვითონ მოსახლეობა დაასუფთავებს ქალაქს.

— მოკლედ, შორს წაგვიყვანს საინტერესო იდეებზე საუბარი. თქვენც ხომ არ გაქვთ პრეტენზია დისკრიმინაციულ მდგომარეობაზე, რომელშიც პარტია იმყოფება?

— რა ვქნათ, ასეთ არათანაბარ პირობებში გვიწევს ბრძოლა. იმედია, ცნობილი ტელეარხები „მწვანეებსაც“ მოგვცემენ პრეზენტაციის უფლებას, ისევე როგორც სხვებს. თუკი დაგვბლოკავენ, ეს აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენ გვდევნიან..

— ჩვენის მხრივ, მკითხველს გავაცნობთ თქვენს იდეებს და გაგაპიარებთ...

— გმადლობთ!

ესაუბრა
თეა მოსია

◎ ალიან-ჩალიანი

პაციენტის კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება გარკვეულ შემთხვევაში დასაშვები გახდება

პაციენტის კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება დასაშვები ხდება, თუ იგი დაკავშირებულია ოჯახში ძალადობის ფაქტის შესაძლო ჩადენასთან, ან არსებობს ძალადობის შემდგომი განმეორების საშიშროება. ასეთი ინფორმაცია მხოლოდ შესაბამის სახელმწიფო ორგანოს მიეწოდება, პაციენტის უფლებებისა და ინტერესების დაცვისათვის.

აღნიშნული ცვლილება იმ საკანონმდებლო პაკეტის ნაწილია, რომელიც მიზნად ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას და პრევენციას ისახავს. ცვლილებები „პაციენტის უფლებების შესახებ“ კანონში, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ და „პოლიციის შესახებ კანონში შეიდის. პაკეტი პარლამენტს განსახილველად დეპუტატმა გუგული მაღრაძემ წარუდგინა. „პაციენტთა უფლებების შესახებ“ კანონს ემატება ნორმა, რომლის მიხედვით, სამედიცინო მომსახურების გამწევის მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება დასაშვებია, თუკი იგი დაკავშირებულია ოჯახში ძალადობის ფაქტის შესაძლო ჩადენასთან, ან არსებობს ძალადობის შემდგომი განმეორების საშიშროება.

ამასთან, პროექტის მიხედვით, პაციენტის ოჯახურ და პირად ცხოვრებაში სამედიცინო მომსახურების გამწევის ჩარევა აკრძალულია, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ პაციენტზე ან მისი ოჯახის სხვა წევრზე ხორციელდება ოჯახში ძალადობის ფაქტები და არსებობს ძალადობის შემდგომი განმეორების საშიშროება.

ქვეყანა, სადაც განათლებულთ არაფერი არ ესაქმებათ!

დავით გურამიშვილის მოწოდება — ისმინე, სწავლის მძებნელო, — ისტორიას ჩაბარდა. სწავლის მძებნელნი აღარ დაგვრჩა, რადგან მწარე სწავლას ტკბილი დიპლომები არ-ჩიეს. დიპლომების მაძიებელნი კი საკმაოდ მრავალია და მათი მშობლები ფულსაც უხვად იხდიან იმ ფარატინა ქაღალ-დისათვის, რომელიც კარგა ხანია, რაც გაუფასურდა.

საშუალო სკოლა გავაუქმეთ და მის ნაცვლად საჯა-რო დაწყებითი სკოლა დავამკვიდრეთ. ამ ტიპის სკო-ლები მრავლადაა ამერიკაში და მათი მიზანი გონე-ბასუსტი ბავშვებისათვის ელემენტარული განათლე-ბის მიცემაა. ჩვენ სწორედ ამ სკოლების სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელოები გადმოვაქარ-თულეთ, ჩვენი ბავშვები კი გონებასუსტებად ჩავთვა-ლეთ და ის განათლების სისტემა მივიღეთ, რომელიც აფრიკის განვითარებად ქვეყანას ეკადრება.

ამიტომ ჩაგვიტარეს ამერიკელებმა განათლების რე-ფორმა ტანზანიაში განხორციელებული რეფორმის მსგავსად და მივიღეთ გაუნათლებელთა ორი თაობა. მართალია, ზოგმა ნიჭიერმა ახალგაზრდამ თავს უშ-ველა და ევროპას მიაშურა, მაგრამ მათი უკან დაბ-რუნების იმედი მათ მშობლებსაც კი არ უნდა ჰქონ-დეთ. **განათლებულებს ამ განვითარებად ქვეყანაში არა-ფერი ესაქმებათ.**

სწორედ ეს გაუნათლებელი ახალგაზრდები მოიყ-ვანა სააკაშვილმა ხელისუფლებაში და, სამწუხაროდ, ეს ტრადიცია ახლაც გრძელდება. სააკაშვილ-მერა-ბიშვილის კლანს ვინმე განათლებულს თუ უწოდებს, განათლებულობაზე ისეთივე წარმოდგენა აქვს, რო-გორც ჩინურ გრამატიკაზე.

გადახედეთ თქვენი შვილებისა და შვილიშვილების ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკისა თუ ბიოლოგიის სას-კოლო სახელმძღვანელოებს და ნახავთ, რომ ისინი გო-ნებასუსტი მასწავლებლების მიერ შექმნილი „შედევ-რებია“ გონებასუსტი ბავშვებისათვის.

დაიწყო ბავშვების ტოტალური კომპიუტერიზაცია პირველივე კლასიდან დიდი იაკობ გოგებაშვილის სკოლიდან განდევნის მიზნით. ეს არ იყო სააკაშვილის შეცდომა — ეს მისი დიდი დანაშაულია ქართველი ერის წინაშე, რაც, ალბათ, ამერიკელი რეკომენდატორების კარნახით მოხდა. მახსოვს 1992 წელს ამერიკის საელ-ჩოს ატაშესთან, ბატომ ჰაჩისონთან შეხვედრისას მისი დარიგება: **„თქვენ განვითარებადი ქვეყანა ხართ და სა-ხელმწიფომ მხოლოდ დაწყებითი განათლება უნდა და-აფინანსოსო“**. ჩვენც მათი მითითებებით „საშუალო სკოლის“ აბრა ჩამოვაცილეთ სკოლას და „საჯარო სკოლის“ აბრა მივაკარით, სკოლებში კი თორმეტწ-ლიანი დაწყებითი სკოლების სასწავლო პროგრამე-ბი დავამკვიდრეთ.

კომპიუტერს წიგნი უნდა შეეცვალა და მან ეს მოახერხა. კომპიუტერი კი ბავშვებისთვის „თამაშების სკივრია“, რომელიც უზნეო „უნარ-ჩვევების“ სანაცვლოდ ბავ-შვებს აზროვნების უნარს ართმევს. შემდეგ ისინი კა-ზინოების მსხვერპლნი ხდებიან და იღუპებიან. „ევრო-პული ფასეულობები“ კი ისე წარმოგვიდგინეს, თით-ქოს ჩვენ აზიელები ან აფრიკელები ვიყოთ და ჩვენი თავისუფლება „დემოკრატიის ეგიდით“ უხამსი და ქარ-თველებისათვის სრულიად მიუღებელი ქმედებებით უნდა გამოვხატოთ „გეი-პარადების“ სახით. ამიტო-მაც გაშმაგებით ებრძვიან მართლმადიდებლობას, თუმცა, თვალთმაქცობით ზოგჯერ სანთლებსაც კი ან-თებენ ეკლესიებში.

წიგნს ჩამოცილებული ბავშვი, სამწუხაროდ, ხში-რად გარყვნილების მორევში ვარდება და ნარკომა-ნი ხდება. სწორედ ამას ემსახურება მისი გაუნათლებ-ლობა და გონებრივი სისუსტე, ღამის კლუბების სიმ-რავლე და მრავალი სატელევიზიო გადაცემები „თოქშოუების“ სახით.

დღეს მთავარი პრობლემა ქართულ ენაზე მაღალი დო-ნის სახელმძღვანელოების შექმნაა, რათა ნიჭიერი ბავ-შვები უნიჭო მასწავლებლების ამარად არ დარჩნენ. ამ მხრივ მდგომარეობა კატასტროფულია და განათ-ლების სამინისტროს არ შეუძლია ამ პრობლემის გა-დაწყვეტა და მეცნიერებათა აკადემიის ქმედითი ჩა-რევაა აუცილებელი. საჭიროა საჯარო სკოლებში თი-თო კლასი მაინც შეიქმნას, სადაც ნიჭიერი ბავშვები სწავლების კურსს საშუალო სკოლის პროგრამებით გაივლიან. სპეციალიზებული სკოლებში კი თანდათან საშუალო სკოლის სასწავლო პროგრამებზე უნდა გა-დავიდნენ.

რა ქნან ნიჭიერმა ბავშვებმა? მათ ხომ **მაღალი დონის განათლების მიღების უფლება წაართვეს?** მათი ერთა-დერთი მიზანი საზღვარგარეთ გაქცევაა, თორემ მა-თი ნიჭი ისევე ჩაიფერფლება, როგორც იმ ქართვე-ლებისა, თურქეთში ქართულ მიწაზე რომ აღმოჩნდ-ნენ ბედის უკუღმართობის გამო!

ძალზე მძიმე დღე დაუდგათ ჩვენს წამყვან უნივერსი-ტეტებს. მაღალი დონის სპეციალისტების აღზრდა ურ-თულესი პრობლემა გახდა, რადგან სკოლის განათლე-ბის დონე უაღრესად დაბალია. მთავარი პრობლემა მასწავლებლები კი არა, სახელმძღვანელოები და სას-წავლო პროგრამებია. ორივე ეს კი ძირითადად გაუ-ნათლებლების ხელშია ჩავარდნილი. მეცნიერებათა აკადემიას კი დიდი ხანია, ხელისუფლება არაფრად აგდებს. დღეს უმაღლესი სკოლის მთავარი ამოცანა სკოლის მასწავლებლების აღზრდაა, რათა სკოლები უსწავლელობის არეს ჩამოვაშოროთ.

უმაღლეს სასწავლებლებშიც ბევრია შესაცვლელი. პირველყოვლისა ეს სასწავლო პროგრამებს და სა-ხელმძღვანელოებს ეხება. არ შეიძლება, რომ დღეს სტუდენტი ლექციას აკონსპექტებდეს. ლექციაზე მას სახელმძღვანელო უნდა ჰქონდეს და გულდასმით უს-მენდეს ლექტორს. ლექციების ჩაწერისას სტუდენტის მიზანი მხოლოდ სიტყვების რვეულში გადატანა გახდა და აზროვნებისთვის მათ დრო აღარ რჩებათ. მე ლექ-ციების დროს სტუდენტებს ლექციების ჩაწერა ავუკრძალე და სასწავლებლად მათ ლიტერატურას ვაძლევდი.

პარიზის უნივერსიტეტში დაკანონებული იყო პრო-ფესორების მიერ წაკითხული ლექციების გამოცემა პა-რიზის უნივერსიტეტის შრომებში. სწორედ ამ გზით გა-მოაქვეყნა თავისი სამეცნიერო შედევრები გენიალურ-მა მათემატიკოსმა და ფიზიკოსმა ანრი პუანკარემ. სწორედ ლექციებზე მიიღო მან, აინშტაინის ფარდო-ბითობის თეორიის გამოქვეყნებამდე რამდენიმე წლით ადრე, გენიალური ფორმულა $E=mc^2$, დაასაბუთა დრო-ის ფარდობითობა და მიიღო გარდაქმნები, რომელ-საც ლორენცის სახელი უწოდა. ყველაფერი ეს პარი-ზის უნივერსიტეტის შრომებში აისახა, რასაც შემდგომ აინშტაინმა თავი მოუყარა სპეციალურ ფარდობითო-ბის თეორიაში.

ცხადია, წაკითხული ლექციების თუნდაც ბროშუ-რების სახით გამოქვეყნება არა მარტო სტუდენტების მომზადების დონეს აწევს, არამედ ლექტორთა პასუ-ხისმგებლობასაც გაზრდის და ლექციების დონეც ამაღლდება. ამდენად, ნებისმიერ პროფესორს უნდა დაევალოს ლექციების კურსის გამოცემა სტუდენტე-ბისთვის (თუნდაც სალექციო საათების შემცირების ხარჯზე) და ეს თავისთავად კარგი საკონტროლო მა-სალაც იქნება თვით ლექტორთა პროფესიული დო-ნის დასადგენად.

რა დაგვემართა, რამ დაგვაბეჩავა ერთ დროს განათ-ლებული და თავმომწონე ერი, რომელსაც ექიმის აღ-ზრდაც კი აღარ შეუძლია, მეცნიერზე რომ არაფერი ვთქვათ. რა მომავალი ელის ჩვენს ახალგაზრდობას? იყოს სხვათა მომსახურე, მოჯამაგირე თუ „შავი მუშა“?

თავგამოდებით ვანადგურებთ კულტურას და კულ-ტურულ ძეგლებს. საყდრისს მივსტირით, რადგან დო-ლარის სიყვარულმა ჩვენი ზოგიერთი თანამემამულე დააბრმავა: დოლარმა შეცვალა მათი სულიერება და ბანკირები ახალგაზრდებისათვის საოცნებო პერსო-ნები გახდნენ. გახდნენ ისინი, ვისაც ადრე მევახშეებს უწოდებდნენ. ხალხი კი შიმშილით სულს ღაფავს და რა დროს განათლებაზე და, მით უმეტეს, კულტურა-სა და მეცნიერებაზე ზრუნვაა?

მაინც რატომ მოხდა ის, რაც მოხდა?

ცხადია, ხელისუფლების მიერ გაუნათლებელი ხალ-ხის მართვა უფრო ადვილია, მაგრამ ისიც ცხადია, რომ გაუნათლებელი ხელისუფლების მართვაც ადვილია ოკეანის გაღმიდან თუ გამოღმიდან. ამიტომაც შევ-ცქერით ამერიკელებს და ევროპელებს და ვერ გაგ-ვიგია, რომ კარგა ხანია, მათი პერიფერიული კოლონია ვართ. მხოლოდ ის გვაინტერესებს, თუ რას იტყვიან ამერიკელი თუ ევროპელი ბოსები ჩვენზე, ხომ არ დაგ-ვტუქსავენ, თუ მათ რომელიმე რეკომენდაციას არ შე-ვასრულებთ?

სწორედ გაუნათლებლებს შეეძლოთ აღძროდათ ხუ-დონჰესის აშენებისა და საყდრისის განადგურების სურ-ვილი. აქაც დოლარმა დაუბნელა მათ ნორმალური აზ-როვნება. ის, რომ ჩვენს შორეულ წინაპრებს ოქროს გამოდნობის შნო ჰქონდათ, მათ სულაც არ ანაღვ-ლებთ. თვითონ ოქროს გამოდნობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ოქროს მოხვეჭის ხელოვნებას კარგად დაეუფ-ლნენ. ამ მომხვეჭველობამ რომ ხალხის უდიდესი ნა-წილი გააღატაკა, მათ ნაკლებად აღელვებთ. მათთვის მთავარია, მადნის პირველადი გადამუშავების შემდეგ საქართველოდან მომგებიანად გაიტანონ ქართული მი-წის სიმდიდრე, თუნდაც დიდი ეკოლოგიური ზიანის საფასურად. ესეც დაბეჩავებული განვითარებადი ქვეყ-ნის ხვედრია.

ხალხი მათ მოჯამაგირეებად სჭირდებათ. საკუთარი განათლებულობაც კი მათთვის ზედმეტია, რადგან ფუ-ლი განათლებულობას კი არა, ავაზაკობასა და მევახ-შეობას მოაქვს, რადგან წესიერი ბიზნესი ჩაახშეს. თუმცა, ფულის სწორად დახარჯვას განათლებულობა ნამდვილად სჭირდება და ამ მხრივ სასიკეთო არაფერი ჩანს, რადგან ფულს სიკეთის ნაცვლად მხოლოდ ისევ ფული მოაქვს.

გაიხსენეთ მაკარი „ქეთო და კოტე“-დან, გაიხსენეთ სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი და ნახეთ ბაზრო-ბებზე გასული ყოფილი ქართველი ინტელიგენცია, სოფლებიდან გამოქცეული გასპეკულანტებული ქარ-თველობა და ადვილად დაასკვნით, თუ რა დღეში ჩა-ვარდა ერთ დროს განათლებული და თავმომწონე ქარ-თველი ერი, როგორ დავეცით...

დღეს მეცნიერი მართლა „ჩარეცხილი“ და ცხოვრები-დან გარიყულია. როდესაც მეცნიერთა ხელფასი ად-რინდელ აკადემიის ინსტიტუტებში სამჯერ ნაკლებია მეეზოვის ხელფასზე, ახალგაზრდას როგორ შეიძლება გაუჩნდეს მეცნიერად გახდომის თუნდაც მცირე სურ-ვილი? მეცნიერთა სავალალო მდგომარეობამ მთლი-ანად მოუჭრა გზა საქართველოში მაღალი დონის გა-ნათლებას და ნიჭიერი ახალგაზრდობა საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყარა, რაც ქართველი ერის წი-ნაშე უდიდესი დანაშაულია.

ისმინეთ ქართველნო წინაპართა მოწოდება და დიდი ილიას შეგონე-ბა: **„მეცნიერება და ხელოვნება იბა-დებიან ცხოვრებისაგან და არსებობ-ენ ცხოვრებისათვის. იგინი წინ მი-დიან ცხოვრებისა გამო და მერე თა-ვის რიგზედ თვითვე წინ მიჰყავთ ცხოვრება“.**

მერაბ ჯიბლაძე,
პროფესორი

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● **საინტერესოა, უგულავა რომ გაზის აქციზის გაუქმებას ჰპირდება ხალხს, რა-ტომ შემოიტანა ნაციონალურმა მოძრაო-ბამ ან, რატომ აუქმებენ ახლა?.. საერთოდ, უკვირდებით კი, წინასაარჩევნო დაპირე-ბებს? ვინ რას გპირდებათ? თუ არ გვაინტერესებს, ხელისუფ-ლებაში რისთვის მოდის ეს ხალხი?**

● **ჯაზში მხოლოდ ქალიშ-ვილები არიან, მიტინგზე - კი-ტოვანის ბიჭები...**

● **პრემიებს, დიდ ხელფა-სებს, ჯიპებს დ.ა.შ თავი დავა-ნებოთ. უბრალოდ, მაინტერე-სებს იმ ფურცლებზე, რაც**

მთავრობაში და პარლამენტში უაზროდ იხარჯება, რამდენი კარგი წიგნის დაბეჭ-დვა და უფასოდ დარი-გება იქნებოდა შე-საძლებელი?

ევროპასთან ასოცი-რების ხელშეკრულება 1025 გვერდია, „მარა-დისობის კანონი“ კი 257 გვერდი!

● **ვეუბნებოდი ამ ხელისუფლებას, არ გახსნათ ნაცები, სპა-მია და ვირუსიო და არ დამიჯერეს. ეჰე შედეგი!**

● **ბუს კვერცხი მოიმარაგეთ თორე, არჩევნების მერე „დიფიციტი“ გახდებაო...**

● **სააგენტო „პრემიერი“ ნიკანორ მე-ლიაზე: „სამსახურიდან გაგდებულია — ორჯერ — ერთხელ ლომაიას, მეორედ — კალმახელიძის მიერ.**

ამისთვის ვერც ხმელეთის ფაუნის მე-ფეს გაუძლია (ლომაია) და ვერც ისტიო-ფაუნის დედოფალს (კალმახელიძე) და მერობას ურჩევნია პარლამენტში სცა-დოს ბედი — იქნება ორნიტოფაუნის (ჩი-ორა) კეთილი განწყობა დაიმსახუროს?!

● **კონტროლიორებს და სითი პარკის თანამშრომლებს მინდა, ვკითხო: ამისთა-ნა რა ხელფასი გაქვთ, რომ დედის გინე-ბას ჩვეულებრივი რეაქციის გარეშე იღებთ? (ყველას არ ეხება, მაგრამ უმეტე-სობას კი).**

● **სასჯელაღსრულებაში ისეთმა ტი-პებმა აიღეს პრემია, ლარს შერცხვა და გა-უფასურდა...**

● **აი, ქალაქის მერი საწვავს როგორ გააიაფებს, ძალიან მაინტერესებს, უგულავას მგონი კრამიტი დაუცურდა.**

● **დააპრემიე და იბატონე!**

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველო-ნატო:
შექება კონკრეტული დაპირებების გარეშე

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აღმოაჩინა კავშირი „ნატოში მიწვევასა“ და „ნეოფაშიზმის საფრთხეს“ შორის

საძართველოს „მნიშვნელოვანი“ პროგრესი „შესაბამისი ფორმით“ უნდა აისახოს ნატოს სექტემბრის სამიტზე უელსში — 15 მაისს ამის შესახებ ბრატისლავაში გლობალური უსაფრთხოების სამიტზე განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა. თუ როგორ აისახება საქართველოს მიღწევები, კერძოდ, მიიღებს თუ არა საქართველო მაპს, რასმუსენს არ დაუზუსტებია.

შეგახსენებთ, რომ ოფიციალური თბილისი არაერთგზის მიმართავდა დასავლეთის ქვეყნებს მოწოდებით, მიიღონ გადაწყვეტილება საქართველოსთვის მაპის მინიჭების შესახებ. ეს არის ალიანსში მიღების ოფიციალური პროგრამა ახალი წევრებისთვის. მასში მონაწილეობა უნდა დაეხმაროს ქვეყანას, მოემზადოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შესვლისთვის, თუმცა, ამის გარანტიას არ აძლევს. აღსანიშნავია, რომ ყველა ქვეყანა-ასპირანტს, გარდა საქართველოსი, ესე იგი ბოსნიასა და ჰერცოგოვინას, ჩერნოგორიასა და მაკედონიას, აქვთ მაპი.

„ჩვენ აუცილებლად განვიხილავთ ღია კარის პოლიტიკას, მაგრამ ჯერ ძალიან ნაადრევია ვისაუბროთ, თუ როგორ მოხდება ეს. მიმაჩნია, რომ საქართველომ მიაღწია მნიშვნელოვან პროგრესს რეფორმების განხორციელებაში, მოაწყო სანიმუშო არჩევნები, შეიტანა თავისი წვლილი ნატოს ოპერაციის განხორციელებაში ავღანეთში, ხელი შეუწყო ურთიერთგაგების განმტკიცებას... ეს პროგრესი უნდა აღინიშნოს სამიტზე. მაგრამ ჯერჯერობით... ნაადრევია იმაზე საუბარი, თუ როგორ — კონკრეტულად“, — განაცხადა რასმუსენმა, როდესაც სლოვაკიაში სამიტზე გამოდიოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ნატოს წარმომადგენები, მათ შორის ალიანსის გენერალური მდივანი არ აზუსტებდა დეტალებს, არაერთგზის აცხადებდნენ, რომ მიღწეული პროგრესის პასუხად, საქართველოს შეუძლია იქონიოს იმედი საპირისპირო ნაბიჯისა ნატოს მხრიდან დაახლოებასთან დაკავშირებით. მარტში, როდესაც ბრიუსელში პრესკონფერენციაზე გამოდიოდა, პრეზიდენტმა ობამამ განაცხადა, რომ „ნატოში არ ყოფილა წევრობის გაფართოების უახლოესი გეგმები“. მართალია, საქართველოს მთავრობა, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს წარმომადგენლები საქართველოში აცხადებდნენ, რომ პრეზიდენტ ობამას მხედველობაში ჰქონდა მხოლოდ ის, რომ ამ მომენტისთვის საქართველო ითხოვს მხოლოდ მისთვის მაპის მინიჭებას, და არა წევრობას ალიანსში, მიუხედავად ამისა, შეკითხვები ქართულ საზოგადოებრიობას დარჩა ამ განმარტებების შემდეგაც. საქართველოში მმართველი კოალიციის წარმომადგენლები არაერთგზის აცხადებდნენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს წელს უარს ეტყვიან მაპის მიღებაზე, მთავრობისთვის ძნელი იქნება, წარუდგინოს ქვეყნის მოსახლეობას დასავლეთის სტრუქტურებთან დაახლოების პროცესი, როგორც წარმატებული, რის შედეგადაც პროდასავლური საგარეოპოლიტიკური კურსის მხარდაჭერაც საქართველოს საზოგადოებაში შეიძლება შემცირდეს.

„ნეოფაშიზმის საფრთხე“

ნატოს გაუბედაობას საქართველოსთვის მაპის მინიჭებასთან დაკავშირებით ქართველი პოლიტიკოსები ხსნიან იმით, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრ ქვეყნებს შორის ამ საკითხთან დაკავშირებით „არ არის კონსენსუსი“.

მიუხედავად იმისა, რომ ნატოს გენერალური მდივანი არაერთგზის აცხადებდა: ნატო ღებულობს გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად და „მესამე მხარის“ აზრის გაუთვალისწინებლად, ძირითად შემაკავებელ ვითარებად ამ შემთხვევაში საქართველოში მიიჩნევენ რუსეთის პოზიციას, რომელიც აშკარად უპირისპირდება ნატოს აღმოსავლეთისკენ გაფართოების გეგმებს. გარკვეულწილად ამ აზრის დადასტურება იყო ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრის ლინას ლინკიავიჩუსის განცხადება სლოვაკიაში გლობალური უშიშროების სამიტზე იმის შესახებ, რომ საქართველო საკამაოდ მომზადებული იყო ნატოსთან დაახლოებისთვის ჯერ კიდევ 2008 წელს, და მისთვის უკვე მაშინ უნდა მიენიჭებინათ მაპი.

„ზოგჯერ.... ზოგიერთი კოლეგა აცხადებს, თუ ჩვენ რაიმეს ვაკეთებთ, ეს პროვოკაციულია... ეს იწვევს საპირისპირო რეაქციას და არ იქნება სასარგებლო. მიმაჩნია, რომ, როდესაც არაფერს ვაკეთებთ, ჩვენ ვახდენთ ამბის პროვოცირებას“, — განაცხადა ლინკიავიჩუსმა, რომელმაც ასევე განაცხადა, რომ საქართველოს „აქვს ყველა ბერკეტი“, რათა მიიღოს მაპი, და რომ ერთადერთი, რაც თბილისს სჭირდება, ეს არის „პოლიტიკური გადაწყვეტილება“.

ამ კვირაში, როდესაც უკრაინის კრიზისის კომენტირებას აკეთებდა, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ტელეარხ „ბლუმბერგისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ „მცდელობა შეიყვანონ უკრაინა ნატოში, უკიდურესად ნეგატიურად აისახება ევროპული უშიშროების მთელ სისტემაზე“.

„ამჟამინდელი კრიზისის თესლი დაითესა 2008 წლის აპრილში ნატოს სამიტის დროს ბუქარესტში, როდესაც თავისი დეკლარაციით ნატოს წევრი ქვეყნის ლიდერებმა განაცხადეს, რომ საქართველო და უკრაინა ალიანსის წევრები გახდებიანო“, — ამტკიცებს ლავროვი.

„რამდენიმე წლის წინათ მ.სააკაშვილმა, მისი ხასიათის გათვალისწინებით, ეს აღიქვა მეტად ემოციურად, გადაწყვიტა, რომ მიიღო ლიცენზია საკუთარ ხალხზე თავდასხმისთვის და სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის მოწესრიგებისთვის ძალის გამოყენებით. იგი, უეჭველია, მოტივირებული იყო დაპირებებით ნატოს მხრიდან. სხვათა შორის, როგორც ეს ამჟამად ხდება უკრაინაში, მ.სააკაშვილმა მალე თავისი საქციელის შემდეგ დაანგრია მეორე მსოფლიო ომის გმირების მონუმენტები. ნეოფაშიზმის საფრთხე აშკარად მოჩანს ნატოში მიწვევის კონტექსტში და იმათ პოლიტიკაში, ვისაც მიაჩნია, რომ უკრაინა უნდა შევიდეს ალიანსში“, — ასე დაახასიათა ამჟამინდელი საქმის ვითარება რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა.

შეგახსენებთ, რომ ნატოს სამიტზე ბუქარესტში 2008 წლის აპრილში, საქართველოს უარი უთხრეს მაპის მინიჭებაზე. მიუხედავად ამისა, ნატოს ლიდერებმა დაარწმუნეს საქართველო, რომ მომავალში ქვეყანა აუცილებლად გახდება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი. 2008 წლის აგვისტოში რუსეთთან ომის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ საკაშვილმა ბუქარესტში მიღებულ გადაწყვეტილებას „სტრატეგიული შეცდომა“ უწოდა.

აღსანიშავია, რომ დიმიტრი მედვედევმა 2011 წლის ნოემბერში აშკარად განაცხადა, რომ ხუთდღიანმა ომმა საქართველოსთან 2008 წლის აგვისტოში თავიდან აგვაცილა ნატოს გაფართოება.

„2008 წელს ჩვენ რომ შეგვშინებოდა, უკვე სხვაგვარი გეოპოლიტიკური ვითარება იქნებოდა, და მთელი რიგი ქვეყნები, რომლებიც ცდილობდნენ, ხელოვნურად შეჭრილიყვნენ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში, ალბათ, ახლა იქ იქნებოდნენ“, — განაცხადა მედვედევმა, რომელსაც მაშინ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტი ეკავა.

„ზოგიერთი ჩვენი პარტნიორისთვის, მათ შორის ჩრდილოატლანტიკური ალიანსისთვის, ეს იყო იმის სიგნალი, რომ მაინც, სანამ მიიღებდე გადაწყვეტილებას ალიანსის გაფართოების შესახებ, უნდა იფიქრო გეოპოლიტიკურ სტაბილურობაზე. აი ამაში ვხედავ იმის ძირითად გაკვეთილებს, თუ რა ხდებოდა 2008 წელს“, — განაცხადა მაშინ მედვედევმა.

„გაზრდილი აღქმა“

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ დამფუძნებელმა და საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ ევროპული და ევროატლანტიკური სტრუქტურების საკითხებში მიხეილ სააკაშვილის მთავრობაში ელენე ხოშტარიამ „ამერიკის ხმის“ რუსული სამსახურის კორესპონდენტთან საუბარში აღნიშნა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ნატოს წარმომადგენლები აცხადებენ საპირისპიროს, ზოგიერთი გადაწყვეტილების შეჩერება პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან დაახლოების შესახებ გამოწვეულია ალიანსის სურვილის უქონლობით — გამოიწვიონ რუსეთის გაღიზიანება.

„ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ვლადიმერ პუტინმა პირდაპირ განაცხადა, რომ მისი მიზანია რუსეთის ყოფილი გავლენის აღდგენა, ეს კი ნიშნავდა, რომ იგი ყველაფერს გააკეთებს, რათა არ მისცეს საშუალება ცივილიზაციას, შეიჭრას პოსტსაბჭოთა სივრცეში — იქნება ეს ნატოს, ევროკავშირის წევრობის გზით, თუ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფოებრიობის გაძლიერების მეშვეობით“, — მიაჩნია ხოშტარიას.

ექსპერტის სიტყვებით, კრიზისმა უკრაინაში აშკარად აჩვენა, რომ ნატოს პოლიტიკამ, რომელიც ითვალისწინებს რუსეთის „პრეტენზიების არალეგიტიმურობას“, კრახი განიცადა. უკრაინის მოვლენების შემდეგ ცხადი გახდა, რომ წინა წლებთან შედარებით ნატოში „გაიზარდა“ რუსეთის საფრთხის აღქმის ხარისხი. ამასთან დაკავშირებით ხოშტარიამ შეგვახსენა, რომ უკანასკნელ ხანებში სულ უფრო ხშირად გაისმის განცხადებები, რომ ალიანსი არ გამორიცხავს მეხუთე მუხლის გამოყენებას, რომელიც ითვალისწინებს სამხედრო ძალის გამოყენებას ნატოს შემადგენლობაში მყოფ სახელმწიფოზე თავდასხმის შემთხვევაში.

„უკრაინაში მოსკოვის მოქმედებების შემდეგ ნატოში გაიგეს, რომ კრემლი ყველა დათმობას აღიქვამს, როგორც ნატოს სისუსტეს და, რომ რუსეთის მცდელობა, აღადგინოს თავისი გავლენა... შეიძლება ასევე გავრცელდეს ბალტიის ქვეყნებსა და პოლონეთზე. რასაკვირველია, შეუძლებელია ისაუბრო გარანტირებულად, მაგრამ თუ შევუდარებთ სიტუაციას 2008 წლისას, ამჟამად უფრო მეტი შანსია იმისა, რომ ნატო მიიღებს სტრატეგიულად სწორ გადაწყვეტილებას საქართველოსთან დაკავშირებით“, — თქვა ელენე ხოშტარიამ „ამერიკის ხმასთან“ ინტერვიუში.

ამავე დროს, ექსპერტს „უსაფუძვლოდ“ მიაჩნია ალიანსში შემავალი ზოგიერთი სახელმწიფოს შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ გაფართოებამ შეიძლება გამოიწვიოს სამხედრო აგრესია რუსეთის მხრიდან. ელენე ხოშტარიას სიტყვებით, პუტინი 15 წლის განმავლობაში სწორედ ნატოს „გაუბედაობაზე“ თამაშობს, და რომ სინამდვილეში მან არ შეიძლება არ გაიგოს, რომ რუსეთის სამხედრო რესურსი „არ იძლევა იმის შესაძლებლობას“, რომ დაიწყოს ომი 28 სახელმწიფოს სამხედრო პოტენციალის წინააღმდეგ. **„პუტინი არ არის თვითმკვლელი“,** — განაცხადა დასასრულს ჩვენმა თანამოსაუბრემ.

Voice of America

დედამიწის ზურგზე

ფინეთის თავდაცვის მინისტრმა განმარტა, თუ რატომ არ სურს შეხვდეს პუტინს და შეაფასა საფრთხე რუსეთის ფედერაციისგან

„ამჟამად უკრაინის საზღვარზე ათასობით რუსი სამხედრო მოსამსახურეა. ისინი საფრთხეს უქმნიან უკრაინის სუვერენიტეტსა და თვითგამორკვევის უფლებას. ეს არ არის ის მომენტი, როდესაც გსურს განაცხადო შესანიშნავ თანამშრომლობაზე სამხედრო სფეროში“,— განმარტა კარლ ჰაგლუნდმა. მისი აზრით, სამხედრო საფრთხე რუსეთის ფედერაციიდან ფინეთის მიმართ არ არის.

* * *

შეხვედრის შემდეგ პუტინი და ცზინპინი გამოვიდნენ განცხადებით უკრაინასთან დაკავშირებით, დაგმეს ისინი, ვინც ერევა სხვა ძვეყნების საშინაო საქმეებში

როგორც იტყობინებიან, სახელმწიფოთა ლიდერები მოლაპარაკების დროს აპირებენ, დიდი ყურადღება დაუთმონ მუშაობას გაეროს და სხვა სტრუქტურების ფარგლებში. ვარაუდობენ, რომ ხელი მოეწერება რამდენიმე ათეულ ხელშეკრულებას, ყველაზე მნიშვნელოვანი გახდება საავიაციო პროექტები. სახელმწიფოთა ლიდერები ასევე მოაწყობენ ერთობლივ სამხედრო-საზღვაო სწავლებას სენკაკუს სადავო კუნძულების მახლობლად.

* * *

უკრაინელმა ძალოვანებმა განაახლეს სლავიანსკის მიმართულებით მასირებული სროლები

ქალაქის სახალხო ამბოხების წარმომადგენლის სიტყვებით, გაისმის ძლიერი აფეთქებების ხმები, სახლებში ფანჯრები ირყევა. სალამოს სროლების დროს ადგილობრივმა მცხოვრებმა ქალბატონმა რამდენიმე ჭრილობა მიიღო თავში, ამტკიცებენ მეამბოხეები. უშუქოდ დარჩა სოფელი მანკი და ნაწილობრივ — სოფელი სემიონოვკა: ქვესადგურზე მოხდა მოკლე ჩართვა, მაგრამ სროლების გამო მერემონტეებმა ვერ შეძლეს გასულიყვნენ უწესრიგობათა გამოსასწორებლად.

ტაილანდში არმიამ შემოიღო სამხედრო მდგომარეობა

მაგრამ ეს არ არის სახელმწიფო გადატრიალება, ამტკიცებენ სამხედროები. ახალი წესრიგის მიზანია — „შეინარჩუნონ ქვეყანაში კანონი და წესრიგი“. მთავრობა ჩვეულებრივ რეჟიმში მუშაობს. მაგრამ არმიამ მაინც კონტროლზე აიყვანა ქვეყანაში ყველა ტელეკომპანია, აკრძალა ქუჩის მანიფესტაციები, დაწესა კომენდანტის საათი. რუსეთის ფედერაციის საელჩო ტაილანდში ურჩევს ტურისტებს, ჯერჯერობით არ ჩავიდნენ ბანგკოკში.

ქართული გალობის უკვდავება

არაერთხელ წაგვიკითხავს და რადიო-ტელევიზიით მოგვისმენია მსოფლიოს გამოჩენილ ხელოვანთა და სიმღერის მოყვარულთა შეფასებები ქართული გალობის უნიკალურობის შესახებ.

სიმღერა რწმენაა, გალობა მართლმადიდებელი ერის სულის ჩუქურთმაა, სიმღერა ქვეყნის წარსულისა და დღევანდელობის მთლიანობის დუღაბია, ერთ ცნობილ ლოტბარს, ქართველთა და აფხაზთა ძმობისთვის დამაშვრალ ძუკუ ლოლუას თუ დავუჯერებთ — **სიმღერა ჰქმნის და აერთიანებს ერს!**.. მაშასადამე, რახან ქართული ხალხური სიმღერა-გალობა უხსოვარი დროიდან ატყვევებს მსმენელს — შინაურსაც და გარეშესაც — ქართველი ერის ჩამოყალიბების პროცესი საუკუნეების წინათ ჩამთავრებულა. მშობლიური ენისა და კულტურის ერთობა გადამწყვეტი ფაქტორია ნებისმიერი ხალხის ერად ჩამოყალიბებისათვის. ქართული ხალხური ფოლკლორი — ლექსი, მუსიკა, სიმღერა, ქორეოგრაფია, ყოველგვარი ტრაბახის გარეშე, ზოგადსაკაცობრიო კულტურის უმნიშვნელოვანესი შენაძენი გახდა...

ასე რომ, ნუ გვეშინია ოცდამეერთე საუკუნის პესიმისტების და სხვათა ხელის შემყურეთა შეძახილი — **„ჩვენ რა ერი ვართ, დღესაც ერთმანეთს ვჭამთო!“**

ურთიერთდაპირისპირება, ქიშპობა, ქრონიკული შუღლი და ოპოზიციონერობა ყოველი დიდი ერის თანდაყოლილი თვისებაც ხომ არ არის? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შეჯიბრი, ბრძოლის ჟინი, რაინდობის და თავის გამოჩენის სურვილი ხომ ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის თანამდევი თვისებაა. ეს ყველაფერი კი უფალმა შექმნა. „რაცა ღმერთსა არა სწადდეს“...

* * *

„დავიღალე, დავიღალე, მოდი ჩემთან უფალო!“ — მღერის სამების საკათედრო ტაძრის გუნდი პატრიარქის ერთ-ერთ ულამაზეს საგალობელს („კირიელეისონ“) და კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ცხოვრება ბრძოლაა და ამ ბრძოლაში გამარჯვება მხოლოდ უფლის თანადგომით შეიძლება... თუმცაღა, ვიდრე ამ „სევდიან“ საგალობელს იმღერებდნენ, გუნდმა უკვდავი „ქრისტე აღდგა მკვდრეთით“ დააგუგუნა და სიკვდილითა სიკვდილის დამთრგუნველ მაცხოვარს მოკრძალებული მადლობა შეჰბედა.

ასე დაიწყო ფონდი „ქართული გალობის“ კიდევ ერთი დაუვიწყარი საღამო რუსთაველის სახელობის სახელმწიფო-აკადემიურ თეატრში 19 მაისს, რომელიც ქართული ხალხური შემოქმედების ღვაწლმოსილი ოსტატების პატივგებას მიეძღვნა.

საღამო-კონცერტს ჩვეული აკადემიურობით უძღვებოდა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ცნობილი ფოლკლორისტი და მუსიკოსი გია ბაღაშვილი. მან კიდევ ერთხელ შეახსენა მაყურებელს, რომ ჩვენი სულიერი მამის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით ბიზნესმენმა ვანო ჩხარტიშვილმა „ქართული გალობის“ ფონდი ერთი წლის წინთ დააარსა.

შთამბეჭდავი ფაქტები: ფონდის დაფუძნებისადმი მიძღვნილ საზეიმო კონცერტზე, 2013 წლის 11 ივნისს, საუკუნის მოცეკვავის წოდება მიენიჭა საქართველოს სახალხო არტისტს **ფრიდონ სულაბერიძეს,** საუკუნის ხმის მფლობელი გახდა სახალხო არტისტი **თემურ ძევხიშვილი,** ღვაწლმოსილი ლოტბარია — „ერისიონის“ სამხატვრო ხელმძღვანელი ჯემალ ჭკუასელი; გურული სიმღერის მოამაგეებად აღიარეს **გური** და **ტრისტან სიხარულიძეები,** სვანური სიმღერის მოამაგის წოდება მიენიჭა **ისლამ ფილფანს,** მეგრული სიმღერისა — **პოლიკარპე ხუბულავას,** კახური სიმღერისა — **ანდრო სიმაშვილს,** რაჭული სიმღერისა — **როსტომ გოგოლაძეს.** ქართული სიმღერისა და გალობის მემატიანეები გახდნენ **მიხეილ კილოსანიძე** და **რობერტ გოგოლაშვილი,** ახალი თაობის მომღერლებიდან გამოარჩიეს ქედის რაიონის ხალხური სიმღერის ანსამბლი **„ელასა“.**

ბუნებრივია, მაყურებელი განსაკუთრებული ოვაციით შეხვდა ბოლო წლებში ქართული ფოლკლორის ყველაზე საიმედო ჭირისუფლის, ლოტბარის, მკვლევარის, სახალხო არტისტ **ანზორ ერქომაიშვილის** დაჯილდოებას საუკუნის მოამაგის ტიტულით...

ერთი წლის განმავლობაში ფონდმა ხუთი დაუვიწყარი შემოქმედებითი საღამო გამართა თბილისსა და რეგიონებში. მათგან ყველაზე დაუვიწყარი იყო განუმეორებელი **ჰამლეტ გონაშვილის** საიუბილეო (85 წლისთავი) საღამო...

წლეულს კი „ქართულმა გალობამ“ ქართული ფოლკლორის განვითარებასა და პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ქართული გალობის მოამაგის წოდება მიანიჭა ცნობილ ლოტბარს **ლია სალაყაიას;** თუშური სიმღერის მოამაგისა — **ლელა თათარაიძეს.** ნიშანდობლივია, რომ ლელას ჯილდო გადასცა და შთამბეჭდავი სიტყვაც წარმოთქვა მისმა დამ, გამოჩენილმა პოეტმა ეთერ თათარაიძემ. ეკომიგრანტი სვანების ანსამბლი „კვირია“ დააჯილდოვა ფოლკლორის ცენტრის თავკაცმა გიორგი დონაძემ, ცნობილ ლოტბარს **გელა გუგავას** კი სვანური სიმღერის მოამაგის წოდება მიულოცა ფონდის დამფუძნებელმა ვანო ჩხარტიშვილმა; ქართული გალობის კიდევ ერთ დიდოსტატზე, სახალხო არტისტ **გომარ სიხარულიძის** დამსახურებაზე მოკლედ ისაუბრა ანზორ ერქომაიშვილმა და ქართული გალობის ღვაწლმოსილი მოამაგის წოდება, საგანგებო სიგელი და ფულადი ჯილდო გადასცა დროებით გერმანიაში მყოფი გომარის შვილს, ცნობილ რეჟისორს გიორგი სიხარულიძეს (ბუნებრივია, ფულადი ჯილდოები ყველა გამარჯვებულს გადაეცა).

საღამოს გვირგვინი იყო ანსამბლ „ერისიონის“ გამოსვლა და ამ ანსამბლის მთავარი ქორეოგრაფის **რეზო ჭოხონელიძის** დაჯილდოება საუკუნის ქორეოგრაფის ტიტულით.

ბატონ რეზოს ჯილდო და ფულადი პრემია გადასცა ჩვენმა საამაყო მუსიკოსმა ლექსო თორაძემ.

...ასე გააერთიანა ფონდმა „ქართულმა გალობამ“ ერი და ბერი, აღმოსავლეთი და დასავლეთი, მოხუცი და ახალგაზრდა...

წლები გადის, საუკუნეები გადის... ქართველი ერის ცნობიერების მთავარი განმსაზღვრელი ხალხურისიმღერა, ცეკვა და გალობა კი კვლავ რჩება ჩვენი ახალგაზრდობის ნამდვილ ქართველებად აღზრდის ძირითად საშუალებად... ფსიქოლოგები გვიმტკიცებენ: ვინც ბავშვობიდანვე ეზიარება ქართული სიმღერის მადლს, ის თითქმის ყოველთვის მისაბაძი ადამიანი ხდება.

გახსოვთ რუსთაველი? — „რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნიც მოვიდიან“...

სპარტაკ ქოზულია

ალიან-ჩალიანი

24-26 მაისს ყვავილების ფესტივალი გაიმართება

ყვავილების ფესტივალი „ვარდობისთვე თბილისში“ 2014 წლის 24-26 მაისს სოფიკო ჭიაურელის სახელობის სკვერსა და მის მიმდებარე ქუჩებზე გაიმართება. როგორც „ინტერპრესნიუსს“ თბილისის მერიიდან აცნობეს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი, ტრადიციული ყვავილების ფესტივალი წელს 10 წლის საიუბილეო თარიღს აღნიშნავს. ფესტივალი პირველად სამი დღის განმავლობაში 24, 25 და 26 მაისს სოფიკო ჭიაურელის სახელობის სკვერსა და მის მიმდებარე ქუჩებზე (შარდენის ქუჩა, ბამბის რიგი) გაიმართება.

საფესტივალო გამოფენები, სამივე დღეს დილის 10:00 საათიდან გაიხსნება და საღამოს 19:00 საათამდე გაგრძელდება. წლევანდელ საიუბილეო ფესტივალში მონაწილეობას სხვადასხვა გამწვანების კომპანიები, ყვავილების მაღაზიები და კერძო კოლექციონერები იღებენ. 26 მაისს „ვარდობისთვე თბილისში“, საიუბილეო ექსპოზიციით, პარალელურად რუსთაველის გამზირზე I კლასიკური გიმნაზიის წინ 12:00-20:00 საათამდე იქნება წარმოდგენილი“, — აცხადებენ მერიაში.

ტრადიციულად „ვარდობისთვე თბილისში“ თბილისის მერიის დაფინანსებით იმართება.

აღნუსხულია მენინგიტის 107 შემთხვევა

24 აპრილის შემდეგ საქართველოში მენინგიტის 107 შემთხვევაა დაფიქსირებული. როგორც „ინტერპრესნიუსს„ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ხათუნა ზახაშვილმა განუცხადა, ერთეული შემთხვევები 24 აპრილიდან დაიწყო, 10 მაისიდან კი მენინგიტის შემთხვევების მატებაა.

— ენტეროვირუსული მენინგიტური შემთხვევები მთელ საქართველოშია. შემთხვევათა უმრავლესობა თბილისშია აღრიცხული. ბავშვების გარდა, მენინგიტი მოზრდილებშიც გვხვდება. ერთეული შემთხვევები 24 აპრილიდან დაფიქსირდა. 10 მაისიდან დაიწყო შედარებით უფრო ინტენსიური მატება. სულ 107 შემთხვევაა რეგისტრირებული და არც ერთი მძიმე არ ყოფილა. მენინგიტის შემთხვევები ზაფხულის მანძილზე გაგრძელდება, თუმცა, ვფიქრობთ, ნაკლები ინტენსივობით, — განაცხადა ზახაშვილმა.

მისივე თქმით, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე შემთხვევა სკოლებში დაფიქსირდა, ეს სწავლის შეწყვეტის საფუძველი ნამდვილად არ არის.

მისივე თქმით, ეს დაავადება გადადის ადამიანიდან ადამიანზე. „მათ შორის, ეს გადადის დაავადებულთან ხელის ჩამორთმევით, მისი მოხმარებული ნივთების გამოყენებით.

შეკავების ღონისძიებები რთულია და სამოქალაქო ჩართულობას მოითხოვს“, — აღნიშნა ზახაშვილმა.

ჯანდაცვის მინისტრის დავით სერგეენკოს განცხადებით, ვირუსულ მენინგიტთან დაკავშირებით პანიკის არანაირი საფუძველი არ არსებობს.

„ნაციონალური მოძრაობის“ ინფორმაციით, მედიკამენტებზე ფასი გაიზარდა

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის ზურაბ ჭიაბერაშვილის ინფორმაციით, მედიკამენტებზე ფასი გაიზარდა. როგორც ჭიაბერაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, 2012 წლის ფასებთან შედარებით ფასები გაზრდილია ისეთ საბაზო წამლებზე, რომელსაც მოსახლეობა ყველაზე აქტიურად მოიხმარს.

◎ ცურვა

ჩვენებურია წარმატება ბელარუსში

ბელარუსის ქალაქ ბრესტში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე წარმატებას მიაღწიეს ქართველმა მოცურავეებმა მთავარი მწვრთნელის ზურაბ ხომასურიძის ხელმძღვანელობით.

ეროვნული ნაკრების წევრმა და ოლიმპიური თამაშების მონაწილემ ირაკლი რევიშვილმა თავისუფალი ყაიდით 200 (1.52,51), 400 (3.58,81) და 800 (8.20,41) მეტრ დისტანციებზე ბრინჯაოს მედლები მოიპოვა, 400 მეტრზე კი 2015 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის სალიცენზიო ნორმატივი შეასრულა და გაისად ამ შეჯიბრებაზე ყაზანში გაემგზავრება.

თავი გამოიჩინა თეიმურაზ კობახიძემაც, რომელმაც ბატერფლაიში 50 (24.9) და 100 (55.3) მეტრზე საქართველოს რეკორდები გააუმჯობესა, 200 მეტრზე (2.04,00) კი ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ბეჟან დოლიძე

◎ რაგბი

19-წლამდე „ბორჯღალოსნები“ ინგლისში საგრაფოთა ნაკრებს ეთამაშებიან

საქართველოს 19 წლამდე მორაგბეთა ნაკრები ინგლისში გაემგზავრა, სადაც იქაური საგრაფოთა ნაკრების 20-წლამდელთა გუნდის წინააღმდეგ ორ შეხვედრას გამართავს. დღეს გუნდები ერთმანეთს სავარჯიშო ტიპის სპარინგ-მატჩში დაუპირისპირდებიან. შეხვედრა კემბრიჯში, რაგბის კლუბ „შელფორდის“ მოედანზე გაიმართება და ადგილობრივი დროით 19 საათზე დაიწყება.

24 მაისს გუნდები საერთაშორისო ამხანაგურ მატჩში მეორედ შეხვდებიან ერთმანეთს. მატჩი რაგბის კლუბ „ქემბრიჯის“ სტადიონ „ვოქალ პარკზე“ გაიმართება და ადგილობრივი დროით 14 საათზე აიღებს სტარტს.

წელსვე ინგლისის საგრაფოთა პირველი ნაკრები ჩამოვა საქართველოში 4 და 8 ივნისს „მზარდ საქართველოსთან“ სათამაშოდ და უკვე გაისად ინგლისელი 20-წლამდელები კვლავ გვესტუმრებიან.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ არდადგომა

მეგობრებმა დუდუ დადიანი გაიხსენეს

ახლახან ვეტერანმა კალათბურთელებმა მათი მეგობარი, ამ ქვეყნიდან უდროოდ წასული საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი, საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი დუდუ დადიანი მის დაბადების დღეს გაიხსენეს. ვეტერანი კალათბურთელები სპორტკომპლექს „არენაში“ შეიკრიბნენ და ამხანაგური შეხვედრა ჩაატარეს. ყველა მათგანს ზურგზე „დუდუ“ და მისი ნომერი 13 ეწერა. ვეტერანი კალათბურთელები „თეთრების“ და „ლურჯების“ გუნდებად იყვნენ გაყოფილები. „თეთრებს“ სერგო იშხნელი, ხოლო „ლურჯებს“ ზურაბ ტომარაძე ხელმძღვანელობდა. როგორც ასეთ შემთხვევაში ხშირად ხდება, მატჩი ფრედ 74:74 დასრულდა. გთავაზობთ გუნდების შემადგენლობას:

თეთრები: არჩილ ჟღენტი, ზაზა ცაგარეიშვილი, მიხეილ ბერუაშვილი, ვახტანგ ნაცვლიშვილი, ამირან სხიერელი, რევაზ ჩხეიძე, გია სანაძე, ლევან წულაია, რამაზ გოგობერიშვილი

მთავარი მწვრთნელი: სერგო იშხნელი.

ლურჯები: ნოდარ ქორქია, ზაზა ღონღაძე, კოტე ტუღუში, პაატა გურასპაული, გია ბერუაშვილი, ამბროსი ორმოცაძე, მამუკა ტურაშვილი, ალეკო პეტრიაშვილი, დავით ღლონტი, ლადო ჩიხლაძე, ზურაბ დარახველიძე.

მთავარი მწვრთნელი: ზურაბ ტომარაძე.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჯანსაღი ცხოვრების წესი

ქართველთა იუბილე ნიგერიული ნოტებით

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ის უმაღლესი სასწავლებელია, რომელიც განათლების სისტემაში გამორჩეულია როგორც სპორტულ ღონისძიებათა რაოდენობით, ისე, რაც მთავარია, ხარისხით, ეს კი მისი სპორტისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორის ზაურ ფხალაძისა და ამავე ცენტრის საუნივერსიტეტო საფეხბურთო გუნდის მწვრთნელის, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის ვახტანგ ბაქანიძის დამსახურებაა.

ბატონმა ვახტანგმა არც ამ დღეებში უღალატა ტრადიციას და როგორც მთავარი მსაჯი, წარმატებით გაუძღვა თბილისის „დინამოს“ სახელოვანი ვეტერანი მცველების საიუბილეო ტურნირს — საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, ღირსების ორდენის კავალერს ზორბეგ ებრალიძეს 70 წელი შეუსრულდა, ხოლო საქართველოს სპორტის რაინდის წოდების მფლობელს, ასევე ღირსების ორდენოსანს ფირუზ კანთელაძეს — 65.

უცხოენოვანი ფაკულტეტების 12 გუნდის მონაწილეობით გამართული ასპარეზობის ფინალში ნიგერიელთა პირველმა ნაკრებმა თანამემამულეთა მეორე გუნდი დაამარცხა — 4:2, III ადგილისათვის ბრძოლაში კი თურქებმა ერაყელებს სძლიეს — 5:2.

გიორგი შოთაძე

◎ მუნდიალის წინ

პორტუგალიის შემადგენლობა ცნობილია

პორტუგალიის ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა პაულუ ბენტუმ იმ 23 ფეხბურთელის ვინაობა დაასახელა, რომლებიც 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებენ.

მეკარეები: ბეტუ („სევილია“, ესპანეთი), ედუარდუ („ბრაგა“), რუი პატრისიუ („სპორტინგი“).

მცველები: ანდრე ალმეიდა („ბენფიკა“), ბრუნუ ალვეში („ფენერბაჰჩე“, თურქეთი), ფაბიუ კოენტრაუ („რეალი“, ესპანეთი), ჟოაუ პეგერირა („ვალენსია“, ესპანეთი), ლუიში ნეტუ („ზენიტი“, რუსეთი), პეპე („რეალი“, ესპანეთი), რიკარდუ კოშტა (ვალენსია“, ესპანეთი).

ნახევარმცველები: ჟოაუ მოუტინიუ („მონაკო“, საფრანგეთი), მიგელ ველოზუ („დინამო“, კიევი, უკრაინა), რაულ მეირელეში („ფენერბაჰჩე“, თურქეთი), რუბენ ამორიმი („ბენფიკა“), ვილიამ კარვალიუ („სპორტინგი“), რაფა სილვა („ბრაგა“).

ფორვარდები: კრიშტიანუ რონალდუ („რეალი“, ესპანეთი), ედერი („ბრაგა“), ელდერ პოშტიგა („ლაციო“, იტალია), უგუ ალმეიდა („ბეშიქთაში“, თურქეთი), ნანი („მანჩესტერი“, ინგლისი), სილვეშტრე ვარელა („პორტუ“), ვიეირინია („ვოლფსბურგი“, გერმანია).

შეგახსენებთ, რომ მომავალ მუნდიალზე პორტუგალიელები G ჯგუფში მოხვდნენ და მეტოქეებად გერმანია, განა და აშშ ეყოლებათ.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ფეხბურთი

ლუის ენრიკე და ტერ შტეგენი მოდიან, პინტო მიდის

19 მაისი „ბარსელონასთვის“ დატვირთული დღე იყო. ამ დღეს კატალონიელებმა ლიონელ მესისთან კონტრაქტი გაახანგრძლივეს, რასაც მთელი რიგი განცხადებების გავრცელება მოჰყვა.

ოფიციალურად დადასტურდა, რომ „ბარსელონას“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე ხერარდო მარტინოს ლუის ენრიკე შეცვლის. კატალონიელთა ყოფილმა ფეხბურთელმა კლუბთან 2-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ლუის ენრიკე „ბარსელონაში“ 1996-2004 წლებში თამაშობდა და მისი მაისურით გამართულ 300 შეხვედრაში 109 გოლი გაიტანა. 2008-2011 წლებში ენრიკე „ბარსა ბ“-ს წვრთნიდა, რის შემდეგაც ის „რომასა“ და „სელტაში“ მუშაობდა.

ასევე ცნობილი გახდა, რომ „ბარსელონამ“ „გლადბახის“ 22 წლის მეკარე მარკ-ანდრე ტერ შტეგენი გაიფორმა. მისი კონტრაქტის დეტალები ჯერჯეროობით უცნობია.

ოფიციალურად დადასტურდა ხოსე მანუელ პინტოს გუნდიდან წასვლაც. 38 წლის მეკარე „ბარსელონაში“ 2008 წლის იანვრიდან თამაშობდა. კატალონიური კლუბის მაისურით მან 90 თამაში ჩაატარა და 15 ტიტული მოიგო.

გარდა ამისა, ცნობილი გახდა, რომ რაფინია ალკანტარა და ჟერარ დეულოფეუ „ბარსელონაში“ დაბრუნდებიან. პირველმა მათგანმა ლუის ენრიკეს „სელტაში“ გატარებული ერთი სეზონის განმავლობაში 32 მატჩში 5 გოლი გაიტანა და 7 შედეგიანი გადაცემა გააკეთა. რაც შეეხება დეულოფეუს, „ევერტონში“ განათხოვრებულმა ფეხბურთელმა 25 მატჩში თავი 3-3 გოლითა და შედეგიანი გადაცემით გამოიჩინა.

კობა კობახიძე

◎ ლეგენდის აღსასრული

გარდაიცვალა სერ ჯეკ ბრებჰემი

გოლდ ქოუსტში, საკუთარ სახლში გარდაიცვალა ფორმულა ერთის სამგზის მსოფლიო ჩემპიონი, ავსტრალიელი სერ ჯეკ ბრებჰემი. ის ფ1-ის ისტორიაში ერთადერთი ადამიანია, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონის ტიტული საკუთარი გუნდის მანქანით მოიპოვა.

ჯონ არტურ ბრებჰემი, შემოკლებით ჯეკ ბრებჰემი, სიდნეის შემოგარენში 1926 წლის 2 აპრილს დაიბადა. ძრავებით და ავტომობილებით ადრეული ასაკიდან დაინტერესდა, 15 წლისამ სწავლას თავი დაანება და გარაჟში დაიწყო მუშაობა. პარალელურად მექანიკურ ინჟინერიას სწავლობდა. მას შემდეგ,

რაც ავსტრალიის სამეფო სამხედრო ავიაციაში იმსახურა, ბრებჰემმა 1948 წელს რბოლებში გამოსვლა დაიწყო და ავსტრალიური ავტოსპორტის კიბეზე აღმასვლის შემდეგ 1955 წელს ევროპას მიაშურა.

თავისი პირველი ტიტული 1959 წელს საკმაოდ კურიოზულ ვითარებაში მოიპოვა: აშშ-ის დიდი პრიზის ბოლო წრეზე საწვავი გამოელია, მანქანა ფინიშამდე ხელით მიაგორა და მაინც მეოთხე ადგილი დაიკავა, რაც ტიტულისთვის საკმარისი გამოდგა. 1960 წლის სეზონში ზედიზედ მეორე ტიტულს გაცილებით იოლად, ხუთ რბოლაში გამარჯვებით დაეუფლა, მაგრამ მომდევნო სეზონში მხოლოდ სამი ქულის მოპოვება შეძლო, რაც იმის ბრალი იყო, რომ „კუპერის“ მანქანა ვერ მოერგო 1,5-ლიტრიანი ძრავების რეგლამენტს.

1962 წელს ბრებჰემმა საკუთარი გუნდი შექმნა და მას სახელად საკუთარი გვარი მისცა. პირველი წლები ძალიან ძნელი გამოდგა და იყო მომენტი, როცა პილოტი კარიერის დასრულებას და მთელი ყურადღების გუნდზე გადატანას აპირებდა,მაგრამ 1964 წელს ამერიკელმა დენ გარნიმ „ბრებჰემს“ პირველი გამარჯვება მოუპოვა და სიტუაციაც უკეთესობისკენ შეიცვალა.

ორი წლის შემდეგ რონ ტორანაკის მიერ შემუშავებული BT19-ით და „რეპკოს“ V8 ძრავით ბრებჰემი დაუმარცხებელი იყო. საფრანგეთის 1966 წლის დიდ პრიზზე მან საკუთარი გუნდის მანქანით პირველი გამარჯვება მოიპოვა, ამის შემდეგ ზედიზედ კიდევ სამი რბოლა მოიგო და მესამე ტიტულსაც დაეუფლა.

ბრებჰემმა თავის კარიერაში ბოლო, მე-14 რბოლა 1970 წელს, სამხრეთ აფრიკის დიდ პრიზზე მოიგო, იმავე სეზონის ბოლოს კი, 44 წლისამ კარიერა დაასრულა.

ნატა ნიგლაძე

◎ ცნობისმოყვარის შენიშვნები

იოსებ სტალინი ილია ჭავჭავაძის შესახებ

იოსებ სტალინის შესახებ კვლავაც უამრავი მასალა იბეჭდება როგორც წიგნებად, ისე საგაზეთო და საჟურნალო სტატიების სახით. მათში ბევრია ერთმანეთის გამომრიცხავი ცნობები. სამწუხაროდ, ბევრგან სათანადო წყარო დასახელებული არ არის და ძნელი გასარჩევია, რაა სინამდვილე და რა — გადაჭარბებით ნათქვამი, შეცვლილი ან სულაც გამონაგონი. ამჯერად გვსურს, გამოვეხმაუროთ გაზეთ „ასავალ-დასავალს“, სადაც გრძელდება წერილების სერიალი იოსებ სტალინის შესახებ. აქ საკითხი სწორად არის დაყენებული: „არსებობს რუსული გამონათქვამი: მითხარი, ვინაა შენი მეგობარი და გეტყვი ვინა ხარ შენ! არსებობს მისი პერიფრაზირებაც: მითხარი, ვინაა შენი მტერი და გეტყვი, ვინა ხარ შენ! ვფიქრობ, არც პირველი გამოდგება ადამიანის გამოსაცნობად და არც მეორე, რადგან მეგობარი, როგორც წესი, თვალებს ხუჭავს შენს ნაკლზე, ხოლო მტერი — შენს ღირსებებზე. უპრიანი იქნება კითხვა ასე დავსვათ: მითხარი შენი საქმიანობის, გნებავს, მოღვაწეობის გამო, ვინ შეგიძულა მთელი გულით, სულით, გონებით და მაშინ გეტყვი ზუსტად, ვინ ხარ შენ!“ (№ 10, გვ. 40).

დიახაც, ცხოვრება, სახელმწიფო, უთვალავწახნაგოვანია და გადამწყვეტია ის, თუ ვის რა მიზნები და მისწრაფებები ამოძრავებს, რაა მისთვის ღირებული და სანუკვარი, რამდენად შესწევს უნარი, სიმართლეს თვალი გაუსწოროს და ა. შ. ეს კი იოლი საქმე ნამდვილად არ არის. მახსოვს დიდი რუსი მწერლის, მიხეილ შოლოხოვის ნათქვამი, **იოსებ სტალინი მისი რანგის პიროვნებამ უნდა შეაფასოსო.**

გასაგებია ფსიქოლოგია ი. სტალინის იმ მოძულეებისა, რომელთა ოჯახებმა და ახლობლებმა რეპრესიები განიცადეს! მაგრამ ყველა ჩვენგანის ვალია, მიუკერძოებლები ვიყოთ, ყოველ შემთხვევაში, ფაქტები შეგნებულად არ დავამახინჯოთ, მეტადრე, ცილისწამებისაგან თავი შევიკავოთ.

ახლა ჩვენი შენიშვნები:

უმნიშვნელოა, მაგრამ მაინც ვიტყვი: არასწორადაა წარმოდგენილი ზოგიერთი პიროვნება: დავით მუსხელიშვილის წერილში ნოდარ ნათაძე მოხსენიებულია პოეტად (№ 16, გვ. 20), გრიშა ონიანის ინტერვიუში სარგის კაკაბაძის ნაცვლად დასახელებულია სარგის ცაიშვილი (№ 13, გვ. 44).

მნიშვნელოვანი და პრინციპული სხვაა, რამდენად სწორია შეხედულება: იოსებ სტალინს მიაჩნდა, რომ ილია ჭავჭავაძე მსოფლიოს პრეზიდენტათაც გამოდგებოდაო? საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ თავმჯდომარე გრიშა ონიანი აღნიშნავს: 1936 წელს „საქართველოდან კრემლში გაგზავნილ 127 რჩეულთა შორის იყო სტალინის სემინარიელი მეგობარი **კორნელი კეკელიძე,** რომელიც პირადად მიიწვია სტალინმა სადილად. საუბარში მეგობარმა მეგობარს გულწრფელად ჰკითხა: **„კორნელი, ილია ჭავჭავაძე უფრო დიდია თუ მე?“**

კორნელი კეკელიძე არც კი დაფიქრებულა, ისე უპასუხა — „ცხადია, თქვენ, იოსებ ბესარიონის ძევ!“

პასუხად სტალინმა მწარედ გაიღიმა, თავი გადააქნია და მიუგო: **„თუ ნამდვილად არიცი, ძალიან მეცოდები. თუ იცი და ძალიან მეპირფერები, უფრო მეცოდები! თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ილია ჭავჭავაძე მსოფლიო პრეზიდენტად გამოდგებოდა. საქართველო მისთვის ისეთი პატარა იყო, ისე მცირე და ვიწრო,** როგორც არწივისათვის გალია!“ (№ 14, გვ. 34).

ბატონი გრიშა არ მიუთითებს, საიდან აიღო ეს ცნობა. ამ საკითხზე მე საგანგებო გამოკვლევა მაქვს გამოქვეყნებული: **„კორნელი კეკელიძე და იოსებ სტალინი“** (ჟურნალი „ამერ-იმერი“, 2013, № 1, გვ. 293-300). ვაჩვენებ, რომ კ. კეკელიძე და იოსებ სტალინი თბილისის სასულიერო სემინარიაში ერთად სწავლის შემდეგ **ერთმანეთს არასოდეს შეხვედრიან,** სემინარიაში ერთხანს კარგი მეგობრული ურთიერთობა ჰქონიათ, მაგრამ მას შემდეგ, რაც მათ შორის ინციდენტი მოხდა (ბატონი კორნელის გადმოცემით, ი. სტალინისათვის თავში წიგნი ჩაურტყამს), ურთიერთობა უკიდურესად გამწვავებულა. ბატონ კორნელის მთელი ცხოვრების მანძილზე, იოსებ სტალინის გარდაცვალებამდე, გამუდმებული შიში ჰქონდა, ბელადს სამაგიერო არ გადაეხადა და ყოველნაირად ცდილობდა, მისთვის თავი არ შეეხსენებინა. მაგრამ ირკვევა, ი. სტალინს კ. კეკელიძე კარგად ახსოვდა და მის მეცნიერულ მოღვაწეობასაც დიდად აფასებდა.

ამავე ნაშრომში ისიც მაქვს ნაჩვენები, რომ, რასაც ბატონი გრიშა გვიყვება, სიტყვა-სიტყვით გადმოცემული აქვს **გურამ კახიძეს** სქელტანიან წიგნში: **„იოსებ სტალინი, თანამედროვეთა მოგონებანი სტალინზე“** (ბათუმი, 1995, გვ. 321-322).

იგივე ტექსტი, ბრჭყალებში ჩასმული, უშენიშვნოდ, როგორც ჭეშმარიტება, დამოწმებულია **აბელ სურგულაძის** წიგნში **„დიახ, სტალინს ახსოვდა საქართველო“** (ბათუმი, 1996, გვ. 68).

გურამ კახიძე ბათუმის პორტის დოკერთა (მუშა-მტვირთავთა) ბრიგადის ბრიგადირი გახლდათ, რომელმაც ბათუმში, საკუთარ ბინაში, როგორც თვითონ უწოდებს, იოსებ სტალინის მუზეუმ-ბიბლიოთეკა გახსნა. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ი. სტალინის შვილიშვილ ევგენი ჯუღაშვილთან და მისი მეშვეობით საბჭოთა კავშირის გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეებსა და მხედართმთავრებთან — ხვდებოდა მათ მოსკოვში და უმასპინძლდებოდა ბათუმში. „მუზეუმში“ გამოფენილი ჰქონდა მათგან მიღებული ი. სტალინის კუთვნილი ნივთები (მაგალითად, ჩიბუხი) და მათი ავტოგრაფებიანი წიგნები.

გ. კახიძის წიგნში ისეა წარმოდგენილი, რომ ამ ამბავს მას ვიაჩესლავ მოლოტოვი მოუთხრობს.

ისმის კითხვა: რადგან კ. კეკელიძე და ი. სტალინი სემინარიის შემდეგ ერთმანეთს აღარ შეხვედრიან, ხომ არ არის საეჭვო და უარსაყოფი აღნიშნული გადმოცემა?

გურამ კახიძე, როგორც თავად წერს, ბავშვობიდანვე წიგნებში თავჩარგული ყოფილა. მიუხედავად იმგვარი სამსახურებრივი საქმიანობისა, ამ წიგნის მიხედვით იგი ნიჭიერ და განათლებულ კაცად წარმოგვიდგება. წიგნი კომპოზიციურად, ენობრივად, მასალების სიუხვით, მათი შერჩევითა და ანალიზით შესანიშნავ შთაბეჭდილებას ტოვებს. თვითონვე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ამ ადამიანებთან შეხვედრისას კალამი და ქაღალდი მუდამ მომარჯვებული ჰქონდა, ნაამბობს მათ თვალწინვე ინიშნავდა და მერე სრულყოფდა. მაგრამ იმდენად ვრცლად და დაწვრილებით გადმოგვცემს ყველაფერს, კარგი სტენოგრაფისტი თუ შეძლებდა ამას. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, ბევრი ამბავი მათი მემუარული წიგნებიდან აქვს აღებული და იქიდან ისე შემოაქვს, როგორც უშუალოდ მათგან თავისივე ყურით მოსმენილი. მაგალითად, ამგვარია ანზორ ერქომაიშვილის ნაამბობი ვიაჩესლავ მოლოტოვთან მისი შეხვედრისა და საუბრის შესახებ. რა თქმა უნდა, ვ. მოლოტოვს ერთი და იგივე შეიძლებოდა როგორც ერთისთვის, ისე მეორისთვისაც მოეყოლა, მაგრამ შეუძლებელია, ერთი და იმავე სიტყვებით გადმოეცა. ეჭვიც კი გამიჩნდა, გ. კახიძე აქაიქ ხალხში გაგონილ ამბებსაც ხომ არ მიაწერდა მათ.

როგორც ვთქვით, ბატონი გრიშას ტექსტი ზედმიწევნით ემთხვევა გ. კახიძისა და ა. სურგულაძის ტექსტს და იგი აქედან უნდა იყოს გადაწერილი.

რა თქმა უნდა, გასაკვირი არაფერია, რომ პენსიაზე მყოფ ხანდაზმულ ვ. მოლოტოვს არ ხსომებოდა, თუ ვის ესაუბრებოდა ი. სტალინი და კეკელიძის გვარი შეცდომით დაე-სახელებინა. უფრო სავარაუდოა, გ. კახიძისათვის ეთქვა, ი. სტალინის სიყრმის მეგობარიო და მან ასეთად კ. კეკელიძე წარმოიდგინა. ერთი სიტყვით, კვამლი უცეცხლოდ არც აქ უნდა გაჩენილიყო.

ამას ნიშანდობლივად გვიჩვენებს გ. კახიძის მეორე მოგონება ი. სტალინისა და კ. კეკელიძის სხვა დროს ისევ მოსკოვში შეხვედრის შესახებ, რომელიც მისთვის იმავე ვ. მოლოტოვს უამბია. ჩემს წერილში ესეც მაქვს დამოწმებული:

„1950 წელს, შემოდგომაზე, სტალინი სოჭში შეხვდა „თავის სიყრმისა და რევოლუციური მოღვაწეობისას შეძენილ მეგობრებს. მან ყველანი მასთან მიიპატიჟა თავის აგარაკზე.

სტალინთან მიწვეულთა შორის იყვნენ: პეტრე კაპანაძე, გლურჯიძე, აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, კორნელი კეკელიძე, სტალინის ძმადნაფიცი სოსო ბოღოშვილი და სხვები. (...)“. ამ სუფრაზე, გ. კახიძის გადმოცემით, სოსო ბოღოშვილი ი. სტალინს სთხოვს თავისი ძმისწულის, 19 წლის სიკვდილმისჯილი გოგონას გათავისუფლებას, ხოლო ვიდრე თხოვნას წარმოთქვამდეს, თითქოს კ. კეკელიძე მას ჩაუჩურჩულებს, კობას ამაზე ნუ შეაწუხებო. როგორც აკაკი ვასაძის მოგონებებიდან ვტყობილობთ, ასეთი რამ ი. სტალინთან შეხვედრისას მართლაც ყოფილა, ოღონდ გ. კახიძის მონათხრობში სახელი და გვარებია არეულ-დამახინჯებული: კ. კეკელიძე არც ამ შეხვედრას დასწრებია, არ ყოფილა არც ვინმე სოსო ბოღოშვილი (იყო კი სპარტაკ ბაღაშვილი). მასპინძელს თხოვნით მიმართავს სიყრმის მეგობარი მოჭიდავე სოსო ცერაძე, ხოლო მას „ჩაუჩურჭულებს“ პეტრე (პეტა) კაპანაძე (აკაკი ვასაძე, მოგონებები, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 2010, გვ. 404-406).

იგივე ამბავი ხომ არ ხდება ილია ჭავჭავაძის შეფასებისას?

ამ თვალითვე უნდა შევხედოთ გ. ონიანის ცნობას: **„ილიასადმი შეტევამ კულმინაციას 1933 წელს მიაღწია, როდესაც მაშინდელმა და სამწერლო ელიტამ გადაწყვიტა ილია ჭავჭავაძის მთაწმინდიდან კუკიის სასაფლაოზე გადასვენება, რამაც საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. სტალინის ბავშვობის მეგობარმა პეტა კაპანაძემ გადაწყვიტა, მოსკოვში ჩასულიყო და თავისი მეგობარი ენახა. პეტა რკინიგზის სადგურიდან პირდაპირ სტალინის კრემლის ბინაში მიიწვიეს და იქვე დაუდეს ბინა. საღამოს ურთიერთის მოკითხვის შემდეგ სტალინმა ჰკითხა, ხომ არაფერი უჭირს, დახმარება ხომ არ სჭირდება? პეტამ უპასუხა „მე არაფერი მიჭირს, საქართველოს უჭირს, ილია ჭავჭავაძეს უჭირს“. — „აბა, რაშია საქმე, ჩემო პეტა, მითხარი“! — „სოსო, ილია ჭავჭავაძე საფლავიდან უნდა ამოთხარონ და კუკიაზე გადაასვენონ, ამაზე უბედურება რაღა იქნება? ამ უსინდისოებმა მეორედ უნდა მოკლან ილია“! — პეტას თვალებზე ცრემლი მოადგა, რაც სტალინისათვის არ დაუმალავს. — „რა ხდება, საფლავს რაღას ერჩიან“?! — სწრაფად წამოდგა და ტელეფონთან მივიდა. უკან დაბრუნებული სოსო ეუბნება: „ჩემო პეტა, შეგიძლია დამშვიდდე, ილიას საფლავს კაცი ხელს ვერ ახლებს“! ასე იხსნა ლეგენდარული ლექსის — „დილას“ ავტორმა ლეგენდარული „ივერიის“ მთავარი რედაქტორი და დიდი ეროვნული მოღვაწე მთაწმინდიდან კუკიაზე გადასვენებისაგან“** (იქვე, № 14, გვ. 34).

ბატონი გრიშა ავტორს, პეტრე კაპანაძეს, კი ასახელებს, მაგრამ სადა აქვს ეს ნათქვამი, არ ამბობს. პ. კაპანაძის მოგონებანი ი. სტალინზე გამოქვეყნებულია, მაგრამ ასეთი რამ იქ არ წერია.

ესეც საძიებელი და დასადგენია.

დასასრულ კიდევ მაქვს ერთი კითხვა: **გ. ონიანი აქ იმოწმებს 1934 წელს საკავშირო მწერალთა ყრილობაზე გასატან მოხსენებასთან დაკავშირებით მალაქია ტოროშელიძესთან ი. სტალინის საუბარს. ამ საუბრის შინაარსს ჰყვებოდნენ (და მათგან მეც მომისმენია) ბესო ჟღენტი და ალექსანდრე ბარამიძე. არსებობს ხელის მანქანაზე დაბეჭდილი მისი ტექსტი. არ ვიცი და მაინტერესებს, ვის მიერაა იგი ჩაწერილი და გამოქვეყნებულია თუ არა?**

ბორის დარჩია,
„ჩარეცხილი“ მეცნიერებათა დოქტორი.

სანთელი

ნიჭოსანი



ქართულ ნიჭს ერთერთი თავკაცი მოუკვდა — **ვახტანგ რურუა.**

რა საქმისთვისაც უნდა მოეკიდა ხელი, ყველაფერს ნიჭის დამღით ტვიფრავდა. მხატვარი იყო, ღვთით მხატვარი, დიდი ხელოვანიცა და დიდი ხელოსანიც ერთსა და იმავე დროს; იყო პოლიგრაფისტი, ჟურნალისტი, კინოსა და, რა ჩამოთვლის, კიდევ რამდენი რამის სპეციალისტი... მაგრამ ვახტანგ რურუა მაინც ყოველთვის იმაზე მეტი გახლდათ, რაც მისი ხელიდან და ტვინიდან გამოდიოდა. არასოდეს უკეთებია ის, რაშიც ძირფესვიანად არ ერკვეოდა, თუმცა, ყველას ისეთ განცდას გვიტოვებდა, სპეციალოგობა რომ დაეწყო ან ზვიგენების მოთვინიერება, აქაც თავის გამორჩეულ სიტყვას იტყოდა. ფარული ლიდერი იყო, თუმცაღა, საუფროსოდ დაბადებულს, პირველკაცობა არასოდეს უძებნია — ეს მას არც სჭირდებოდა, რამდენადაც ყველანი ვახტანგს უფრო ვენდობოდით, ვუჯერებდით და ვემორჩილებოდით, ვიდრე ნებისმიერ თანამდებობრივ ავტორიტეტს. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ვის რა უნდა გვექნა, ეს მხოლოდ უფალმა უწყის, მაგრამ ვის რა არ უნდა გვექნა, ეს ვახტანგმა ყოველთვის უცდომლად იცოდა.

მის ამ უნარს მე ნიჭოსნობას დავარქმევდი, ნიჭოსნობას და, არა — ნიჭიერებას: ვახტანგი იმდენად ერთადერთი და განუმეორებელი გახლდათ, რომ მის დასახასიათებლად ამ გაუცვეთავ ეპითეტს უფრო საფერისად მივიჩნევ.

ვახტანგ, ნიჭოსანო, შენნაირი კაცები რომ სულეთში მეგულებით, სიკვდილი მეც მიადვილდება...

მანდ შენთან ძმობის გაგრძელების რწმენა-იმედით, ნახვამდის, ძმაო!

თამაზ კვაჭანტირაძე
19. 05. 14.

ზურაბ მაჩაიძის ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება უახლოესი ადამიანის, შესანიშნავი მოქალაქის, თავისი ქვეყნის პატრიოტის

რევაზ მაჩაიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

◎ ინფორმაცია

შსს-მ ყალბი ვალუტის გასაღების ბრალდებით ოთხი პირი დააკავა

სამართალდამცავებმა ყალბი ვალუტის შეძენა-შენახვის და გასაღების ბრალდებით ოთხი პირი დააკავეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით შსს-ს სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, თბილისსა და ბათუმში ერთდროულად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, დანაშაულებრივი ჯგუფის 4 წევრი: ჯემალ გ, გაბრიელ მ, გიორგი ხ. და მინდია ბ. ყალბი ვალუტის შეძენა-შენახვის და გასაღების ბრალდებით დაკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულები წინასწარ შეთანხმებით ორგანიზებას უწევდნენ თურქეთის რესპუბლიკიდან საქართველოში ყალბი ვალუტის — აშშ-ს დოლარის კუპიურების შემოტანას შემდგომი რეალიზების მიზნით.

სამართალდამცველებმა დანაშაულებრივი ჯგუფის წევრთა მფლობელობაში არსებული, სარეალიზაციოდ გამზადებული ყალბი აშშ-ს დოლარის 49 ერთეული კუპიურა 4900 აშშ დოლარის ოდენობით ნივთმტკიცებად ამოიღეს.

მეცნიერთა აზრით

ქვეყნები, რომელთაც 2050 წელს ოკეანე დაუარავს!

ბრიუსელის უნივერსიტეტის მეცნიერები ევროპას მოსალოდნელი მასშტაბური კატასტროფების შესახებ აფრთხილებენ – 30 წლის შემდეგ ევროპის დიდი ნაწილი საცხოვრებლად გამოუსადეგარი გახდება. როგორც კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი კომისიის ვიცე-პრეზიდენტი ჟან პასკალ იპერსელე აცხადებს, სულ რაღაც რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, დაახლოებით 2050 წლისთვის, ევროპის დიდი ნაწილი წყლის ქვეშ აღმოჩნდება.

მომავალში წყალდიდობების, არქტიკული ყინულის დნობისა და კლიმატის ცვლილებები გამო, ექსპერტის პროგნოზით, ოკეანე ჩაყლაპავს ლონდონს, როტერდამს, კოპენჰაგენს, ანტვერპენს და ამსტერდამს. ჟანი პერსელე განგაშის ზარების ატეხას მოითხოვს და მოსალოდნელი კატასტროფებისთვის მზადების დაწყებას ითხოვს.

ექიმები კვერცხის ნაჭუჭის გამოყენებას გვირჩევენ

უნგრელი მეცნიერების გამოკვლევით დადგინდა, რომ კვერცხის ნაჭუჭი 90% კალციუმის კარბონატს შეიცავს, რომელსაც ორგანიზმი ძალიან ადვილად ითვისებს. ამასთანავე, იგი შეიცავს ორგანიზმისათვის აუცილებელ მიკროელემენტებს – ფტორს, რკინას, მოლიბდენს, ფოსფორს და ა.შ. სულ 27 მიკროელემენტს.

კალციუმის ნაკლებობა, განსაკუთრებით ძვლებში, ნივთიერებათა ცვლის დარღვევის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა, რაც იწვევს რაქიტს, კბილების არასწორ ზრდას, მათ დაავადებას, ხერხემლის გამრუდებას ბავშვებში, ასაკოვან ადამიანებში ძვლების მსხვრევას. ხშირად გაცივებისადმი მიდრეკილებას, სისხლნაკლებობას, ალერგიას. კალციუმის უკმარისობა განსაკუთრებით ორსულობის დროს იჩენს თავს.



საკვებში კვერცხის ნაჭუჭის (დაფქული) დამატებამ კარგი შედეგი აჩვენა და ამასთან არანაირი გვერდითი მოვლენები არ აღინიშნა, მათ შორის ბაქტერიული დასნებოვნების.

ქათმის კვერცხის ნაჭუჭი ძალიან სასარგებლოა ბავშვებისათვის 1 წლის ასაკიდან დაწყებული. მათ ორგანიზმში ინტენსიურად მიმდინარეობს ძვლის ქსოვილის ჩამოყალიბების პროცესი, რისთვისაც აუცილებელია კალციუმით შევსება.

ბავშვობის ასაკში ნაჭუჭის დამატება კარგად მოქმედებს რაქიტისა და ანემიის წინააღმდეგ.

მიზანშეწონილია კვერცხის ნაჭუჭის მიღება ყმაწვილობის ასაკში 19-20 წლამდე.

პროფილაქტიკის მიზნით წელიწადში ორჯერ კვერცხის ნაჭუჭით მკურნალობა უნდა ჩაიტარონ მოზრდილებმა, რათა თავიდან ავიცილოთ ხერხემლის დაავადებები, კარიესი.

ვერცხის ნაჭუჭის გამოყენების მეთოდიკა მარტივია: კვერცხი წინასწარ გარეცხეთ თბილ წყალში საპნით,კარგად გაავლეთ და გაამშრალეთ. თუ პატარა ბავშვებისათვის უნდა გამოიყენოთ, მაშინ 5 წუთით ჩადეთ მდუღარე წყალში. ასეთი ნაჭუჭი ნაკლებ აქტიურია, მაგრამ უშიშრად შეიძლება მისცეთ ბავშვებს 1,5-დან 3 გრამდე, ყოველდღიურად. დაქუცმაცება შეიძლება სანაყში. ყავის საფქვავით დაფქვის შემთხვევაში სამკურნალო ეფექტი მცირდება. მიიღეთ დილით ხაჭოსთან ან ფაფასთან ერთად.

მცირე ენციკლოპედია

იარეთ, რათა... ჭკუა არ დაკარგოთ

ამერიკელმა მკვლევარებმა ახლახან ჩატარებული მრავალწლიანი სამუშაოს შედეგები გამოაქვეყნეს, რომლის თანახმად რეგულარული აერობული დატვირთვა – სწრაფი სიარული, იოგა, ცურვა, თავის ტვინს არა მარტო დაბერებისგან იცავს, არამედ უფროსი და საშუალო ასაკის ადამიანებში მეხსიერებასთან და აზროვნებასთან დაკავშირებული პრობლემების თავიდან აცილებასაც უწყობს ხელს.

მეცნიერები აღნიშნავენ, რომ წლინახევრის რეგულარული აერობული დატვირთვის შემდეგ, რაც კვირაში ოთხჯერ ველოტრენაჟორზე ერთსაათიან ვარჯიშებს გულისხმობდა, ტესტების მონაწილეებს, რომლებსაც გარკვეული პრობლემები ჰქონდათ, სწავლებისა და დაგეგმვის უნარი აუმაღლდათ, გაცილებით გაუადვილდათ კონკრეტულ ამოცანებზე კონცენტრირება.

– შესაძლოა, საქმე ისაა, რომ აერობული დატვირთვები ხელს უწყობს ქსოვილების მიერ ინსულინის ათვისებას, – ვარაუდობენ მკვლევარები. – ეს ჰორმონი დიდ როლს ასრულებს ჩვენი სხეულის ყველა ორგანოს, მათ შორის, თავის ტვინის, ენერგიით უზრუნველყოფაში.

აღსანიშნავია, რომ კოგნიტიური (ანუ შეგნებასთან, აზროვნებასთან დაკავშირებული – **რედ.**) პრობლემების მქონე ადამიანთა 10-15 პროცენტს დროთა განმავლობაში ხანდაზმულობის გონებასისუსტე უვითარდება.

იშვიათი პროფესიები

ყოველწლიურად სხვადასხვა გამოცემა უჩვეულო და იშვიათი პროფესიების ჩამონათვალს აქვეყნებს ხოლმე, რომელიც გამუდმებით ახალი სპეციალობებით ივსება.

მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ეგზოტიკურ სპეციალობათა ჩამონათვალში მოხვდა მინის ჭიქების შემფუთავი, ნუდისტური პლაჟის მაშველი, ფუნთუშებზე ჯემის წამსმელი, ფუნთუშების კრემით შემვსები და ტელეფონით მომავლის წინასწარმეტყველი.

იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში ამ ცოტა ხნის წინათ თანამოსაუბრის პროფესია გაჩნდა. მათი მოვალეობაა ტოკიოს ხალხმრავალ ქუჩებში დადგმულ ჯიხურებში ჯდომა და ყველა იმ პირის მოსმენაა, ვისაც კი მათთვის გულის გადაშლა მოესურვება. გულწრფელად დალაპარაკების მსურველთა ნაკადი ჯიხურებთან ცოტა ხნითაც არ წყდება.

ბრიტანეთის დედაქალაქში კი ბოლო დროს სულ უფრო მეტად პოპულარული რიგის დამკავებლის პროფესია ხდება, თუმცა კი, როგორც ჩანს, მასზე მოთხოვნა მაინც დიდი არ არის, ამიტომ ამ პროფესიას იშვიათთა რიცხვს მიაკუთვნებენ

ჩინეთის დიდ ქალაქებში კი სხვა ეგზოტიკური პროფესიაა – ტუალეტების გიდი: სპეციალური თანამშრომელი მწირ გასამრჯელოდ ნებისმიერ მსურველს უახლოეს საპირფარეშოს მიასწავლის.

გარდა აღნიშნულებისა, იშვიათ პროფესიათა რიცხვში ასევე არიან ბურთების შემგროვებელი და გოლფის ჯოხების დამზეთავი, ახალშობილი წიწილების სქესის დამდგენი ოპერატორი, ავეჯის გამომცდელი, ძროხების მეპედიკიური, კვერცხების გამტეხავი და წყლის ატრაქციონების მომწყობი.

ზოოპარკი სამსახურში

ამერიკელმა მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ცხოველებს ოფისში დიდი სარგებლობა მოაქვთ. ისინი არა მარტო კარგ გუნებაზე აყენებენ მუშაკებს, მათ შორის არაფორმალურ ურთიერთობათა ჩამოყალიბებასაც უწყობენ ხელს, სტრესებს ხსნიან, აგრეთვე შრომით ნაყოფიერებასაც ამაღლებენ.

ამავე დროს, ერთ-ერთი პორტალის მიერ ჩატარებული გამოკითხვით დადგინდა, რომ დამსაქმებელთა მხოლოდ 15 პროცენტმა აღნიშნა, რომ მათ ოფისებში ცხოველები ჰყავთ, სხვები ამის სასტიკი წინააღმდეგნი არიან. ყველაზე პოპულარული საოფისე ცხოველია აკვარიუმის თევზები. მათ მერე მოყვებიან მღრღნელები: თაგვები, ვირთაგვები, ზღვის გოჭები, ზაზუნები. პოპულარობით მესამე ადგილზე არიან ფრინველები: ტალღოვანი თუთიყუშები, კანარის ჩიტები. ზოგიერთ კომპანიაში კი სულაც ეგზოტიკურ ცხოველებს – გველებს, იგუანებს, ქამელეონებს, გიგანტურ მადაგასკარულ ტარაკნებსა და დიდ ბალნიან ობობებს აშენებენ.

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

299-62-77;

599 32-85-76.

კადრი



ცინცხალი ანეკდოტები

სახლში დაბრუნებული აბრამი ხედავს, რომ მისი სარა საყვარელთან ნებივრობს.

– სარა!!! ბარემ სიგარეტიც გაირჭვე პირში და კაცს ბოზი ეგონები!..

* * *

– **ეძიმო**, ვგონებ იმპოტენტი ვხდები!

– როდის შეამჩნიეთ ეს?

– გუშინ ნასადილევს, ორჯერ წუხელ და ამ დილით!

* * *

– **ეჰ**, ჩვენ, ქირურგებს, ბევრი მტერი გვყავს ამქვეყნად!

– იმ ქვეყნად უფრო მეტი გყავთ!

* * *

შეფი ტუქსავს სამსახურში დაგვიანებით მისულ თანამშრომელს:

– უკვე შუადღეა, თქვენ კი ახლაღა მოხვედით სამსახურში.

– ეჰ, რომ იცოდეთ, რა დამემართა! მთელი ათი საათი უგონო მდგომარეობაში ვიყავი.

– რა დაგემართათ?

– მკვდარივით მეძინა!

* * *

პოლიციის ოქმიდან:

დაკავებულია სერჟანტი პეტროვი მოქალაქე სიდოროვას გაუპატიურების მცდელობისთვის.

დაკავებულია მოქალაქე სიდოროვა პოლიციის თანამშრომლისთვის წინააღმდეგობის გაწევის გამო.

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS RESPUBLIKA

გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

ინდექსი 66434

გამომცემლები:

შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“

ტ: 599 79-76-79)

შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება „კოლორში“

(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)

ს-323

ISSN 2233-3851

9 772233 385001

მთავარი რედაქტორი

ალეკო ასლანიშვილი

299-62-77;

599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:

გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;

რუსლან რუსია 599 17-21-21;

სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35

პასუხისმგებელი მდივანი

მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24